

საბჭოთა სამედიცინო

ს.ს.ს.რ.
იუსტისიის
მინისტრის
მრავალპროფესორი
მ. ბაბიანი

ზინაარსი

- მოწინავე—მსოფლიო დღესასწაული.
 - ფ. საფონოვი—სასამართლო და პროკურატურა შრომის დისციპლინის დარღვევასთან ბრძოლის საქმეში.
 - ს. ქავთარაძე—ადმინისტრაციულ-იურიდიული სექციების ამოცანები.
 - ი. პავლიაშვილი—როგორ უნდა სწარმოებდეს მუშაობა სახალხო მსაჯულებთან.
 - ი. ბოჭორიშვილი—ფსიქოლოგიური მხარე მოწმის ჩვენებაში.
 - ზ. ნარიშკინი—1928 წ. 29/VI—შრომის წესების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები.
 - ნ. ჯინჭარაძე—შრომის ახალი კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკა.
 - ი. ძაძამიძე—ახალი სასოფლო სამეურნეო გადასახადის კანონი.
 - ს. გრიგოლა—სახალხო გამომძიებელთა და რაიონების შესახებ.
 - ვ. კოკნაძე—დანაშაულობათა შესწავლისათვის
 - მ. ჯანელიძე—საპატიმრო ადგილების ზედანხედველთა შესახებ.
- იურიდიული დახმარება.
კანონმდებლობის მიმოხილვა.
ოფიციალური ნაწილი.

№ 7-8

30 აპრილი

1929

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამომცემლობა

ოფიციალური გამოცემა

კოლექციები და სხვა


საქართველოს სსრ კონსტიტუცია
1926 ქართულ ენაზე 40 კ.
საქართველოს სსრ კონსტიტუცია
1926 რუსულ ენაზე 40 კ.
საქართველოს სსრ კონსტიტუცია
1926 ქართულ ენაზე (გაყიდულია).
საქ. სსრ სამოქალაქო სამართლის
კოდექსი 1927 (გაყიდულია)
საქ. სსრ სამოქალაქო სამართლის
კოდექსი 1927 რუსულ ენაზე . . . 75 კ.
საქ. სსრ სამოქალაქო სამართლის
საპრ. კოდ. 1925. ქართულ ენაზე (გა-
ყიდულია).
საქ. სსრ სამოქალაქო სამართლის
საპროცესო კოდექსი 1921. რუსულ
ენაზე (გაყიდულია).
საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდ.
1928. ქართულ ენაზე 65 კ.
საქ. სსრ სისხლის სამართლის კო-
დექსი 1928. რუსულ ენაზე 65 კ.
საქ. სსრ შრომა-გასწორების კოდ.
1928. ქართულ ენაზე 50 კ.

საქ. სსრ სისხლის სამართლის
საპროცესო კოდექსი. 1927. ქართულ
ენაზე 70 კ.
საქ. სსრ სისხლის სამართლის
საპროცესო კოდექსი. 1927. რუსულ
ენაზე P ე 70 კ.
საქ. სსრ სამართლის წყობილების
დებულება. 1924. ქართულ ენაზე
(გაყიდულია)
იუსტსახკომის 1925. წ. მომქმედი
ინსტრუქციებისა და ცირკულიარე-
ბის კრებული. 1926. ქართულ ენა-
ზე 1 მ. —
ისტსახკომის 1926 წ. მომქმედი ინ-
სტრუქციებისა და ცირკულიარების-
კრებული 1927 წ. ქართ. ენაზე — 1 მ. 50 კ.
საქ. სსრ უზენაესი სასამართლოს
პლენუმის ახსნა-განმარტებანი მიწის
კოდექსის ზოგიერთი მუხლებისა.
1927. ქართულ ენაზე (გაყიდულია)
მსჯავრდადებულთა ცნობარი 1924
1925 წლებისა. 1927. 3 მ.
საქ. სსრ სამოქალაქო სამართლის
საპროცესო კოდექსის გაგრძელება
(მომქმედი ცვლილებანი და დამატე-
ბანი). 1929. 20 კ.

კანონები და განკარგულებათა კრებული

1923 წ. მარტ. I, ქართულ ენაზე. კომპ-
ლექტი 1 მ. 20 კ.
1924 წ. I ნაწილი. ქართულ-რუ-
სულ ენაზე 2 მ.
1925 წ. I ნაწილი ქართულ-რუ-
სულ ენაზე 1 მ. 50 კ.
1926 წ. I ნაწილი ქართულ-რუ-
სულ ენაზე 3 მ. 10 კ.
1927 წ. I ნაწილი ქართულ ენა-
ზე 3 მ.
1927 წ. I ნაწილი რუსულ ენა-
ზე 3 მ.

1928 წ. I ნაწილი ქართულ ენა-
ზე 4 მ.
1928 წ. I ნაწილი რუსულ ენა-
ზე 4 მ.
1928 წ. II ნაწილი ქართულ ენაზე
(უფასოდ ეგზავნებათ I ნაწილის ხე-
ლისმიმრეკრებებს).
1929 წ. I ნაწილი ქართულ ენა-
ზე 4 მ.
1929 წ. I ნაწილი რუსულ ენა-
ზე 4 მ.
1929 წ. II ნაწილი ქართულ ენაზე
(უფასოდ ეგზავნებათ I ნაწილის ხე-
ლის მიმრეკრებებს).



34(05)

ს 13.

საბჭოთა სამართალი

საქართველოს სოციალისტურ
საბჭოთა რესპუბლიკის
იუსტიციის სახალხო
კომისარიატის ორკვირეული
===== ე უ რ ნ ა ლ ი =====

679

===== ფელიწადი მგორი =====



№ 7-8



34 (20)

13

პასუხისმგებელი რედაქტორი შ ა ლ ვ ა მ ა თ ი კ ა შ ვ ი ლ ი

სარედაქციო კოლეგია

- ი. ტალახაძე
- თ. დოლიძე
- ბ. ბერაძე
- პროფ. შ. ნუცუაძე
- კონს. მიქაბაძე
- მვლ. მუხომია



270

მსოფლიო დღესასწაული

სოციალისტურ აღმშენებლობის უდიდეს ისტორიულ ეტაპში ზეიმობს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი დღევანდელ პირველ მაისობას. გამარჯვებული პროლეტარიატი, რომელიც განაგებს სახელმწიფო ხელისუფლებას და წარმატებით აშენებს ახალ საზოგადოებრივ ცხოვრებას, დღეს კვლავ შეამოწმებს იმ კოლოსალურ მიღწევებს და ზოგიერთ დაბრკოლებებს, რომელიც ჩვენი ქვეყნის სოციალ-სამეურნეო პირობებიდან გამომდინარეობს. საბჭოთა რესპუბლიკების ფართო მშრომელ მასებს კემმარტი საფუძველი გააჩნია უდიდესი ხალისით და ენტუზიაზმით შეეგებონ საერთაშორისო პროლეტარიატის დღესასწაულს.

თუ ახლო წარსულში გააფთრებით ვიბრძოდით დახვეწებულ ცარიზმის რეჟიმის დასამხობათ და მთელი ჩვენი საპირველმასისო დემონსტრაციები ძლევამოსილ პროლეტარიატის გაშმაგებულ შეტევას წარმოადგენდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, დღეს კი—დედამიწის ერთ მეექვსედზე გამარჯვებული მუშათა კლასი მტკიცეთაა დარაზმული კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების—მუშათა და გლეხთა ხელისუფლების გარშემო, და უდიდესი ენერგიით, ერთსულოვნებით და თავდადებით ვაშენებთ სოციალისტურ საზოგადოებას.

არ არსებობს ისეთი სიძნელენი და დაბრკოლებები, რომელიც ვერ დაამსხვრიოს ლენინის მონოლიტური პარტიის გარშემო დარაზმულმა პროლეტარიატის შემოქმედებითი ენერგიის აზვირთებულმა ტალღებმა. ეს პერსპექტივები და საკუთარ გამარჯვების შეურყეველი რწმენა, კიდევ მეტ საზეიმო ელფერს აძლევს პირველ მაისის დღესასწაულს ჩვენში.

სულ სხვა მდგომარეობაა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს გადაღმა. მსოფლიო პროლეტარიატის მნიშვნელოვანი ნაწილი ისევ გმინავს ბურჟუაზიის უღლის ქვეშ. აგრესიულათ განწყობილი ავანტიურისტული ბურჟუაზია, სოციალ-გამცემლებთან ერთად, ჯერ კიდევ დათარეშობს მეტროპოლისსა და კოლონიებში. ბურჟუაზიისა და გამყიდველ სოციალ-დემოკრატების პაციფისტური ლაყობა ერთის მხრივ და თეთრი ტერორის მძინვარება მეორეს მხრივ, რასაც თან ახლავს რევოლიუციონური აფეთქებანი, გაფიცვები და მუშათა კლასის მდგომარეობის ყოველმხრივი გაუარესება კაპიტალისტურ ქვეყნებში-მეტის მეტად დამახასიათებელ ნიშნებს იძლევა მიმდინარე საერთაშორისო მდგომარეობის დღევანდელ ისტორიულ მონაკვეთისათვის. ჯერ კიდევ არ გამშრალა ერზერუმისა და კრაკოვის მიდამოები მსოფლიო იმპერიალისტურ ჟღერტაში დაღვრილი სისხლისაგან და ევროპის კონტინენტზე ისევ მოისმის მომავალ საშინელ ომების შემადრუწუნებელ ქარიშხალის გუგუნე. ისტორიისაგან განწირული კაპიტალიზმი

ყუმბარებითა და ხიშტებით ცდილობს ეკონომიურ წინააღმდეგობათა კვანძების გახსნას.

საერთაშორისო იმპერიალიზმი დაჟინებით ამზადებს კაცობრიობის კულტურის განმანადგურებელ საშვალებას და ერთხელ კიდევ სურს აღმართოს ადამიანთა გვამების გიგანტიური ზვინები გავერანებულ ქალაქებისა და სოფლების ადგილზე.

დღეს, როდესაც საერთაშორისო პროლეტარიატი მე-40-ცე წლის მიჯნაზე ზეიმობს თავის დღესასწაულს, კაპიტალისტურ ციხეებიდან კიდევ მოისმის აღმაშფოთებელი ჟღარუნ ბორკილებისა, გულშემზარავი კენესა ეშაფოტებზე აყვანილ პოლიტიკურ პატიმრებისა და ბანდიტ თეთრი ტერორისტების შაიკის ტყვიების ზუზუნი რევოლუციონურ მუშების მკერდისაკენ დამიზნებული.

ყოველ ეჭვს გარეშე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბურჟუაზიის ფარული და ოფიციალური აგენტურა, — მენშევიკები და სამძებრო პოლიცია, ხელი ხელ ჩაკიდებულნი გამოვლენ საერთაშორისო მუშათა კლასის უდიდეს ზეიმის, ბრძოლის და შეტევის დღის ჩასაშლელათ. მაგრამ ჩვენ დაბეჯითებით გვწამს, რომ მუშათა ინტერნაციონალური სოლიდარობის მორიგი ტალღა ძლევაშისილ იერიშს მიიტანს კაპიტალისტურ ციხე-სიმაგრეების ალაყაფის კარებზე.

პირველ მაისს — როგორც ისტორიულად — უფრო მეტი შემტკიცებული და დარაზმული გამოვა მსოფლიო მუშათა კლასი წითელი დროშებით და თავის ძლიერების დემონსტრაციასთან ერთად წამოაყენებს გაშლილი ბრძოლის პროგრამას. საერთაშორისო რევოლუციონური პროლეტარიატი, თავის მოძმე საბჭოთა კავშირის მუშებთან ერთად დაიცავს და გაამაგრებს ერთად ერთ სოციალისტურ სამშობლოს — საბჭოთა კავშირს.

პირველი მაისის წრევანდელი დემონსტრაცია, საერთაშორისო ლენინიზმის გამარჯვების ახალი საწინდარი იქნება.

ფ. საზონოვი.

სასამართლო და პროკურატურა შრომის დისციპლინის დარღვევასთან ბრძოლის საქმეში. *)

სამეურნეო გეგმის შესრულების შემოწმებამ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში აღმოაჩინა ფრიად დამაფიქრებელი ნიშნები დასახულ ამოცანების ჩაშლის შესაძლებლობისა. წინასწარი ცნობები მრეწველობის მთელ რიგ დარგების შესახებ გვიჩვენებენ თვითღირებულების შემცირებას მხოლოდ 2 პროც ამასთანავე აღსანიშნავია, რომ წარმოების საშუალებათა დამამზადებელი მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 4,04 პროც. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7,5 პროც. ხოლო მოხმარების საგნების დამამზადებელი მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულება — სულ 0,9 პროც. გეგმით

*) წერილი ამოღებულია „E. C. IO.“ № 12.

ნავარაუდები 6,3 პროც. ნაცვლად (ი. კოსიორი. თვითღირებულების შემცირება და შრომის დისციპლინა“ „Правда № 53).

თვითღირებულების შემცირების გეგმის შეუსრულებლობასთან ერთად ადგილი აქვს აგრეთვე შრომის ნაყოფიერების გაძლიერების ამოცანის შეუსრულებლობასაც. გეგმით ნავარაუდები 17 პროც. ნაცვლად შრომის ნაყოფიერება პირველ კვარტალში გაიზარდა მხოლოდ 12 პროც.

იმ მიზეზთა შორის, რომლებმაც იქონიეს გავლენა თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების გაძლიერების ამოცანების შეუსრულებლობაზე, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შრომის დისციპლინის სისუსტეს წარმოებებში. საწარმოო მდგომარეობის შესწავლამ, რომელიც მოახდინა მთავრობის მიერ დანიშნულმა შრომის დისციპლინის გამაძლიერებელმა კომისიამ, ნათელჰყო ფრიად არახელსაყრელი სურათი.

1927/28 წელს მთელს მრეწველობაში არაპატივსაღები მიზეზით გაცდენილი იყო 18 მილიონზე მეტი სამუშაო დღე, რამაც დაგვაკლო 225 მილიონი მანეთის პროდუქცია. თუმც, სტატისტიკური ცნობებით, მიმდინარე წელს არა აქვს ადგილი სამუშაო დროის გაცდენის გაძლიერებას, მაგრამ შემოწმებამ გამოაშკარავა მრავალი სხვა ფაქტი, რაც ნათელჰყოფს იმ გარემოებას, რომ შრომის დისციპლინის მდგომარეობის შესახებ მსჯელობა არ შეიძლება მარტოდენ სამუშაო დროის გაცდენის მიხედვით.

შრომის დისციპლინის გამაძლიერებელი კომისიის თავმჯდომარე აშხ. ტოლსტოპიატაგოვი თავის წერილში „მეტი ყურადღება შრომის დისციპლინას („Правда“ № 9 11/1—29) აღნიშნავს ათ ძირითად ფორმას, რომლებშიაც გამოიხატება შრომის დისციპლინის შესუსტება: 1) ლოთობა წარმოებებში; 2) სამუშაო დროის გაცდენა არაპატივსაღები მიზეზებით; 3) ხულიგნობითი მოქმედება 4) სამუშაოზე დაგვიანება; 5) ძილი სამუშაოზე 6) სპეციალისტების ცემის შემთხვევები; 7) შრომის ნაყოფიერების ხელოვნური შესუსტება; 8) სამუშაოზე გამოუცხადებლობა რელიგიურ დღესასწაულების დროს; 9) ქურდობა; 10) შრომის დისციპლინის საერთო დარღვევები.

ხშირად შრომის დისციპლინის შესუსტების მიზეზია თვით საწარმოთა ადმინისტრაცია, რომელიც არ ებრძვის ადმინისტრატიულ-ტექნიკურ ხელმძღვანელობის შესუსტებას, არ აქცევს სათანადო ყურადღებას უგულვებელყოფის, თავაშვებულობის და ხშირად პირდაპირი ხულიგნობის შემთხვევებს. ასევე უარყოფითად მოქმედობს შრომის დისციპლინაზე და ასუსტებს შრომის ნაყოფიერებას სამეურნეო მუშაკთა უყურადღებობა შრომის დაცვის საკითხების მიმართ, აბუჩად აგდება და ბიუროკრატიული მიდგომა მუშათა ყოფა-ცხოვრებისა და შრომის საკითხებისადმი, კოლექტიური ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, მუშათა წინადადებების უყურადღებოდ დატოვება, მუშაკორების დევნა თვითკრიტიკისათვის, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება და სხვა.

ცხადია უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ჩვენი სოციალისტური მრეწველობის ინტერესების აბუჩად აგდება როდი ახასიათებს ყველა მუშას ან თუ გინდ მუშების უმეტესობას. საწარმოო თათბირების გაცხოველება, საგრძნობი

ზრდა მუშათა წინადადებებისა წარმოების გაუმჯობესების საქმეში, გაძლიერებული გამოააშკარავება მუშაკორების მიერ სამუშაო დროის ბოროტ გამცდენთა და ლოთებისა, რომლებსაც დეზორგანიზაცია შეაქვთ წარმოებაში, საერთო კრებების, რეზოლიუციები შრომის დისციპლინის გაძლიერებისათვის გადამწყვეტი ბრძოლის აუცილებლობის შესახებ—ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ მუშათა ძირითად მასას, განსაკუთრებით კადრის მუშებს კარგათ ესმით, თუ რამდენად გრანდიოზული და საპასუხისმგებლოა ის ამოცანები, რომლებიც დაკისრებული აქვთ მათ, როგორც სოციალიზმის უშუალო მშენებლებს.

შრომის დისციპლინის შესუსტების მიზეზების შესწავლა მთავრობის კომისიის მასალებით ნათელჰყოფს, რომ ძირითად მიზეზს შრომის დისციპლინის დაცემისა, ალკოჰოლის მოხმარების გარდა, წარმოადგენს მუშათა ცალკე ჯგუფების უკიდურესი ჩამორჩენილობა და უკულტურობა. ამ უკანასკნელ წლებში ჩვენმა მრეწველობამ მიიზიდა სოფლებიდან ჩამოსულთა საგრძნობი კადრები. მუშების ეს ფენები ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლდნენ, სოფლიდან ჩამოყოლილ განწყობილებისაგან, ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი თავის გლეხურ მეურნეობასთან და ჯერ კიდევ ვერ განიმსჭვალენ იმის შეგნებით, რომ ის ფაბრიკა თუ ქარხანა, სადაც ისინი მუშაობენ, მათი ფაბრიკაა, მათი ქარხანა. მრავალი შემოწმება, რომლებიც მოახდინეს პროფკავშირებმა, ადასტურებს იმ გარემოებას, რომ სამუშაო დროის თვითნებურად გაცდენისა და გლეხურ მეურნეობასთან დამოკიდებულების შორის არსებობს პირდაპირი კავშირი. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სოფლიდან ჩამოსულებს უფრო მეტად ახასიათებს სხვა და სხვა გვარი მტაცებლური განწყობილება, კონფლიქტები და ზოზინი მუშაობაში.

სოფლიდან მოსულთა გარდა, მრეწველობაში ჩაიბა განსახლებული რაოდენობა ქალაქის მოსახლეობის ისეთი ფენებისა, რომლებსაც ახლო წარსულში არაფერი ჰქონდათ საერთო წარმოებასთან. გაკოტრებული შინამრეწველები და ხელოსნები, წვრილი ვაჭრები, საბჭოთა დაწესებულებებიდან განდევნილი ყოფილი მეფის მოხელეები, საბჭოთა მოსამსახურენი, რომლებმაც უკვე მოიხადოს სასჯელი თანამდებობრივი დანაშაულისათვის და ავრეთვე ისინი, ვინც დაჰკარგა სამუშაო შტატების შემცირების გამო—ყველა ეს ელემენტები თანდათან ეტმანებთან წარმოებებში, განსაკუთრებით ისეთ ამქრებში, სადაც საჭირო არ არის სპეციალური კვალიფიკაცია. ეს ელემენტები გარეგნულად სრულებით არ წააგავენ შრომის დისციპლინის დამრღვევისა და „მობუზუნეს“ იმ ჩვეულებრივ ტიპს, რომელიც დამახასიათებელია სოფლებიდან ჩამოსულთათვის. მიუხედავად ამისა, ეს კატეგორია დიდ საშიშროებას წარმოადგენს წარმოებისათვის თავის განსაკუთრებული სიბოროტის გამო. ამ კატეგორიის განსაკუთრებული სიბოროტე მდგომარეობს მათ კონსპირატიულობაში, ისინი ხშირად მიმართავენ მუშაკორის ნიღაბს, მათ თითქოს შესტივით გული თვითკრიტიკისათვის, ნამდვილად კი ამ ნიღაბის ქვეშ იმალება შეგნებული მავნებელის საზიზღარი სახე. იმ დროს, როდესაც სოფლიდან ჩამოსულები შრომის დისციპლინას არღვევენ შეუგნებლობის გამო, იმის გამო, რომ ვერ ახერხებენ დაუკავშირონ და დაუქვემდებარონ თავისი ინტერესები მთელი მუშათა კლასის ინტერესებს, მიტმანნილი ელემენტები არამც თუ არ გრძნობენ და არ სურთ იგრძნონ თავი ამ მთელის ნაწი-

ლად, არამედ, პირიქით, სარგებლობენ ყოველი შემთხვევით იმისათვის, რომ ფარულად წააქეზონ და ააღელვონ მუშათა ჩამორჩენილი ფენები, გახრწან ისინი, მოსწამლონ ბუზღუნისა და მტაცებლობის შხამით და მოსწყვიტონ ისინი წარმოების ინტერესებით გამსჭვალულ, ყვილაზე უფრო შეგნებულ კადრის მუშებს და მათ ახალთაობას.

საბჭოთა კავშირის მთავრობამ მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობა ამოძრავა შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის საბრძოლველად და ამასთან ერთად გადამწყვეტი ზომები მიიღო ისეთი საწარმოო პირობების უზრუნველსაყოფად, რაც აუცილებელია ჩვენი სოციალისტური მრეწველობისათვის დაკისრებულ ამოცანების განსახორციელებლად. ამა წლის მარტის 7-ს გამოქვეყნებული დადგენილებით საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა იუსტიციის ორგანოებს უზრუნველჰყონ მტკიცე ხაზი შრომის დისციპლინის დარღვევასთან ბრძოლის საქმეში, როგორც შრომის ნიადაგზე წარმოშობილ კონფლიქტების განხილვის დროს, ისე იმ შემთხვევებშიაც, როდესაც განსახილველია სისხ. სამ. საქმე მოწყობილობის, ინსტრუმენტების და მასალების გაფუჭების შესახებ, წარმოებებში ჩადენილ მტაცებლობისა და ხულიგნური მოქმედების შესახებ, მუქარის, შეურაცყოფის და ძალადობის შესახებ, რომლებსაც ჰქონდა ადგილი ადმინისტრაციულ—ტექნიკურ პერსონალის მიმართ და სხ.

მთავრობის ეს მიმართვა იუსტიციის ორგანოებისადმი გამოწვეულია იმით, რომ მთავრობის კომისიის მიერ მოხდენილმა შემოწმებამ გამოაშკარავა მრავალი ისეთი ფაქტი, რაც ნათელჰყოფს იმ გარემოებას, რომ სასამართლო ორგანოების მიერ აღებული ხაზი შრომის დისციპლინის დარღვევით გამოწვეულ კონფლიქტების განხილვის დროს ვერ არის მთლად სწორი. საჭირო არ არის მოვიყვანოთ ისეთი ცალკე შემთხვევები, როდესაც სასამართლოები აღდგენდნენ სამუშაოზე სამუშაო დროის გაცდენისა და საერთოდ შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დათხოვნილ პირთ, როდესაც სასამართლო დაუშვებელ ლმობიერებას იჩენდა ისეთი პირების მიმართ, როგორიც არიან უგულოდ მომუშავენი, სახალხო დოვლათის გამტაცებლები, ფარული და აშკარა მავნებლები, რომლებიც მუშის ნიღაბ ქვეშ მალავენ თავის ნამდვილ სახეს, თავვასული ბიუროკრატი ადმინისტრატორები, რომლებიც არა ნაკლებ გამხრწნელ მოვლენას ახდენენ საწარმოო დისციპლინაზე, ვიდრე პირდაპირი მავნებლები. უკანასკნელ ხანებში პრესა ყოველდღიურად გვაძლევს ცნობებს იმის შესახებ, რომ სასამართლოს და პროკურატურის მრავალ მუშაკთ ჯერ კიდევ ვერ შეუქნიათ, თუ რამდენად სერიოზული და გადაუდებელია ჩვენი მრეწველობისათვის დაკისრებული ამოცანები, ჯერ კიდევ ვერ გამსჭვალულან იმის შეგნებით, რომ ისინი წარმოადგენენ საერთო შეტევის ფრონტის ერთ-ერთ ნაწილს.

რაც შეეხება იმ კონკრეტულ ამოცანებს, რაც დაკისრებული აქვთ იუსტიციის ორგანოებს ისეთ საქმეთა განხილვის დარგში, რომლებიც პირდაპირ თუ არა პირდაპირ დაკავშირებულია თვითღირებულების შემცირების, შრომის ნაყოფიერების გაძლიერების, ან შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხებთან, აქ, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა შეეჩერდეთ იმ თვალსაზრისზე, რომლითაც უნდა მიუდგენ სასამართლო ორგანოები და პროკურატურა თვითთული

საქმის განხილვას. შრომის საქმეთა განხილვის დროს სასამართლო ორგანოთა უდიდეს შეცდომას წარმოადგენს ფორმალური მიდგომა, ე. ი. კანონის სიტყვა-სიტყვით შეფარდება, კიდევ რომ საქმის შინაარსი, მისი კონკრეტული თავისებურება ნათელჰყოფდეს იმ გარემოებას, რომ ამ კანონის შეფარდება აღნიშნულ შემთხვევაში აშკარად მიზანშეუწონელია, ორუმცა შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს შრომის სამართლის ნორმების დარღვევას. შრომის კანონმდებლობის გატარების დროს უთუოდ უნდა გაეწიოს ანგარიში წარმოების ინტერესებს და ცალკე მუშათა და მათი ცალკე ჯგუფების ინტერესები უთუოდ უნდა დაექვემდებაროს მთელი მუშათა კლასის ინტერესებს. მაგრამ ეს გარემოება არ გულისხმობს იმას, რომ შრომის კანონმდებლობას შეიძლება სრულიად არ გაეწიოს ანგარიში შრომის კონფლიქტებისა და საქმეების გადაჭრის დროს. საბჭოთა შრომის კანონმდებლობა იმისათვის კი არ შეუქმნია საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს, რომ იგი მხოლოდ ქალაქში არსებობდეს: იგი იყო ბრძოლის მიზანი და შედეგია პროლეტარიატის გამარჯვების, იგი უნდა იყოს მისი, როგორც სოციალიზმის უშუალო მშენებელი კლასის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტია, მისი ინტერესების დაცვის გარანტია ბიუროკრატიულ გადამახინჯებისაგან. ამიტომ სასამართლოებმაც და პროკურატურამაც შრომითი ურთიერთობის დარღვივაც მტკიცედ უნდა დაიცვან რევოლიუციონური კანონიერება. მაგრამ შრომის კანონმდებლობის მტკიცედ გატარება და მისი დაცვა ბიუროკრატიულ გადამახინჯებისაგან, ზედმინისტრიატიულ გატაცებისაგან და სხვ. არ უნდა აძლევდეს ფართო ასპარეზს ისეთ მუშა-მოსამგასახურეთა ცალკე ჯგუფებს და ცალკე პიროვნებებს, რომლებიც ცდილობენ მის გამოყენებას თავის მტაცებლურ მიდრეკილებათა დასაკმაყოფილებლად. ასეთ შემთხვევებში სასამართლო და პროკურატურა არ უნდა აჰყენენ მაჩანჩალებს არ უნდა დაუთმონ მაჩანჩალოვან განწყობილებებს, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ისინი.

უდიდეს გარანტიას შინაწესრიგის დარღვევისათვის, ან სამუშაო დროის გაცდენისათვის (შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხ. „დ“ და „ვ“ პუნქტები) დათხოვნით გამოწვეული დაცვის სწორი გადაწყვეტისათვის უნდა წარმოადგენდეს ასეთი დაცვის სავალდებულო განხილვა შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში. ეს კომისიები, რომლებიც მჭიდროდ არიან წარმოებასთან დაკავშირებული, უშუალოდ იცნობენ იმ ადგილს, სადაც დავა წარმოიშვა, აგრეთვე მოდავე მხარეებს, ექვს გარეშეა, უკეთ გაერკვევიან კონფლიქტის დეტალებში და უკეთ გაუწევენ ანგარიშს ყველა იმ თავისებურობას, რომლებსაც აქვთ მნიშვნელობა საქმის სწორი გადაწყვეტისათვის. ამიტომ სასამართლო ორგანოებმა არ უნდა მიიღონ განსახილველად სარჩელი თანამდებობაზე აღდგენის შესახებ, როდესაც მოსამსახურე დათხოვნილია შინაწესრიგის დარღვევისათვის, ან სამუშაო დროის გაცდენისათვის, უკეთუ დათხოვნილ პირს წინასწარ არ მიუმაართავს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში კონფლიქტის გადასაწყვეტად. როგორც მტკიცედ დაცული წესი, სასამართლო ორგანოებმა ასეთი სარჩელი უნდა მიიღონ განსახილველად მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კონფლიქტი უკვე განხილულ იქნა შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში, მაგრამ იქ ვერ გადაწყდა, რადგანაც ვერ შეთანხმდნენ მხარეები ან როდესაც შემფასებელ-საკონ-

ფლიქტო კომისიის გადაწყვეტილება გაუქმებულ იქნა ზედამხედველობის წესით.

ზემოაღნიშნული წესით შემოსულ საქმეთა განხილვის დროს სასამართლო ორგანოებმა დიდი ყურადღებით უნდა შეისწავლონ კონფლიქტის წარმოშობის მიზეზები და შეამოწმონ, თუ რამდენად სწორია დათხოვნის საფუძველი. ამასთანავე, ცხადია, არ შეიძლება უყურადღებოდ იქნეს დატოვებული შემდეგი საკითხები: რამდენი ხანია და მოსახლეობის რომელი ფენიდან მოვიდა დათხოვნილი წარმოებაში, შემთხვევითია მის მიერ შრომის დისციპლინის დარღვევა, თუ იგი პირდაპირი შედეგია იმისა, რომ დამრღვევი თვითონ შემთხვევით მოხვდა წარმოებაში და მისთვის უცხოა წარმოების ინტერესები, როგორი დამოკიდებულება აქვს მას მუშებთან, რატომ არ დასთანხმდნენ მუშები მის დათხოვნაზე, რატომ მოითხოვს დაჟინებით ადმინისტრაცია მის დათხოვნას და სხვ. ერთი სიტყვით, სასამართლომ ყოველმხრივ უნდა შეათვასოს ის კონკრეტული დარღვევა, რომელმაც დათხოვნა გამოიწვია. ისეთ შემთხვევაში, როდესაც დათხოვნა არ შეეფერება გადასახდელთა ნუსხას, ე. ი. როდესაც ამ ნუსხით გათვალისწინებული იყო გადასახდელის უფრო მსუბუქი ღონისძიება, სასამართლომ არ უნდა გააუქმოს დათხოვნა მარტო ამ საფუძველით, არამედ მან უნდა ასწონ-დასწონოს და შეათვასოს ჩადენილი დარღვევა მისი სიმძიმისა და დამრღვევის პიროვნების თვალსაზრისით და გამოიტანოს გადაწყვეტილება იმის მიხედვით, თუ ვინ არის დამრღვევი, რა არის დარღვევის ნამდვილი მიზეზი, რა შედეგი მოჰყვა ან შეიძლებოდა მოჰყოლოდა აღნიშნულ დარღვევას. დათრობა და ისე მოსვლა სამუშაოზე, უგულვებელყოფა სამუშაოსადმი, თამბაქოს მოწვევა ხანძრის მხრივ საშიშ ადგილას და სხვ., რასაც მოჰყვა ან შეიძლებოდა მოჰყოლოდა მანქანების და ინსტრუმენტების გაფუჭება, აგრეთვე პროდუქციის გაფუჭება, ხანძარი და სხვ., ყველა ასეთ შემთხვევაში დათხოვნა სწორ ღონისძიებად უნდა იქნეს აღიარებული, კიდევ რომ იგი პირველად იყოს ჩადენილი. განსაკუთრებული სიმტკიცე და ულმობელობა უნდა გამოიჩინონ სასამართლოს ორგანოებმა და პროკურატურამ ისეთი პირების მიმართ, ვინც ჩაიდინა შემდეგი სახის დანაშაული: ხელიგნობა წარმოებაში, მუქარა და ძალადობა ადმინისტრატიულ-ტექნიკურ პერსონალის მიმართ, მოწყობილობის და მასალების გაფუჭება, ინსტრუმენტების, პროდუქციის და ნედლეულის გატაცება და სხვ.

ამასთან ერთად, იმ შემთხვევაში, თუ შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტი არ დადასტურდა სასამართლოს ძიებით, სასამართლო ორგანოები ვალდებული არიან ზედმიწევნით გამოარკვიონ დათხოვნის ნამდვილი მიზეზი. ისეთ შემთხვევაში, თუ გამოირკვა, რომ ადგილი აქვს პროტექციონიზმს, მუშაკობისათვის ან თვითკრიტიკისათვის დევნას, სასამართლო ვალდებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მისცეს დამნაშავენი სისხ. სამ. კოდ. 133 *) მუხლის ძალით.

სასამართლო ორგანოები, რომლებიც უნდა ცდილობდნენ თავის მუშაობით ხელი შეუწყონ საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას წარმოებებში, ულ-

*) საქ. სისხ. სამ. კოდ. 139





მობელად უნდა შეებრძოლონ შრომის დისციპლინის დარღვევისათვის ისეთ ადმინისტრატიულ-ტექნიკურ პერსონალსაც, რომელმაც ვერ შესძლო წარმოების ინტერესების უზრუნველყოფისათვის საჭირო სიმტკიცის გამოჩენა სამუშაოდროის გამცდენელთა და შრომის დისციპლინის დამრღვეველთა მიმართ. სასამართლო ორგანოებმა სასტაკი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ ყველა იმთ, ვინც უყურადღებოდ სტოკება შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს და არ იღებს ზომებს ადმინისტრატიული გადასახდელის შესაფარდებლად დამრღვევისათვის, როგორც ამას მოითხოვს სახალხო კომისართა საბჭოს ამა წლის მარტის 6-ის დადგენილება. ასეთივე მტკიცე და გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ყოველგვარ ნათლიამობას მუშათა დაქირავების დროს, კოლექტიური ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობას, უშიშროების ტექნიკის დარღვი დაკისრებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობას, შრომის დაცვის წესების დაუცველობას და საერთოდ შრომის კანონმდებლობის ყოველგვარ დარღვევას, რადგანაც ასეთი დარღვევები და მათი დაუსჯელობა ხრწნის მუშათა წრეს და მეტად უარყოფით გავლენას ახდენს შრომის დისციპლინაზე.

დღევანდელი მომენტით წამოყენებულ ამოცანების მნიშვნელობა ავალებს პროკურირტურას გააძლიეროს ადგილებზე მეთვალყურეობა ისეთ საქმეების განხილვისათვის პირველ და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში, რომლებიც თვითღირებულების შემცირებასთან, შრომის დისციპლინის განმტკიცებასთან და შრომის წაყოფიერების გაძლიერებასთანა დაკავშირებული. ყოველი ისეთი გადაწყვეტილება სასამართლოსი, რომელიც მთავრობასა და იუსტ. სახ. კომისარიატის დირექტივებს ეწინააღმდეგება, გაპროტესტებულ უნდა იქნეს ან საკასაციო, ან ზედამხედველობის წესით.

რამდენადაც მთავარი მასა კონფლიქტებისა, წარმოშობილი შინაწესრიგის დარღვევისათვის და სამუშაოდროის გაცდენისათვის დათხოვნის ნიადაგზე, განიხილება შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებში და შემდეგ შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების ხაზით, პროკურატურამ ადგილებზე განსაკუთრებით უნდა გააძლიეროს ზედამხედველობა შრომის ორგანოთა მოქმედებაზე. ისეთ შემთხვევაში, როცა გამოირკვევა მათი დადგენილებათა არაკანონიერება განსაკუთრებით მუშათა მტაცებლური, უდისციპლინო და დეკლასიური ნაწილის მიმართ და წარმოებაში შეპარულ უცხო ელემენტების მიმართ, პროკურატურა ვალდებულია გააპროტესტოს ასეთი დადგენილებები საბჭოთა კავშირის ცაკისა და სახ. კომ. საბჭოს მიერ 1928 წლის აგვისტოს 29-ს დამტკიცებულ „კონფლიქტების შემრიგებელ-სამედიატორო წესების შესახებ“ დადგენილების 45 მუხლის წესისამებრ. პროკურატურამ და სასამართლომ სწორედ უნდა გამოიკვიონ თავისი ამოცანები და როლი მუშათა კლასის საერთოდ ბრძოლაში თვითღირებულების შემცირებისათვის, მათ ერთი ბიჯითაც არ უნდა დაიხიონ დასახული ხაზისაგან, რათა შესძლონ შეასრულონ ის ამოცანები, რომლებიც დაევალა მათ სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

ადმინისტრატიულ-იურიდიული სექციების ამოცანები.

საქალაქო და სასოფლო საბჭოებს პარტიისა და ხელისუფლების მიერ მორიგ ამოცანად დაკისრებული აქვთ, მთელი რიგი პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტა მრეწველობის და სოფლის მეურნეობის სექტორის მაქსიმალურად განვითარება-გაძლიერების დარგში.

ამ საკითხების სწორად გადაწყვეტა შეიძლება თვით მუშების და გლეხების ფართო, აქტიური დახმარებით, აღმშენებლობის და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში ქალაქისა და სოფლის მშრომელი აქტივის ჩაბმით.

ხელისუფლების ძირითად ორგანოთა მორიგ ამოცანებს შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცებას და დანაშაულებრივობასთან ბრძოლას. პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ პლენუმზე, 1928-29 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ ამხანაგი რიკოვის მოხსენების გამო 1928 წ. ნოემბრის 24-ს მიღებული რევოლიუციის მე-2 პუნქტში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ რევოლიუციონური კანონიერება მჭიდროთ არის დაკავშირებული ჩვენი მეურნეობის, კერძოთ გლეხური მეურნეობის სტიმულების გაძლიერების საკითხთან, რომ თუ არ მოწესრიგდება და მტკიცედ არ გატარდება ყველა ის ნორმა, რაც უკვე საყოველთაოდ გამოქვეყნებული და დაკანონებულია, შეუძლებელი იქნება მეურნეობის გულდანდობით წარმოება, სამეურნეო ვარაუდის დაჭერა და სამეურნეო გეგმის შემუშავება; ერთი სიტყვით, შეუძლებელი იქნება გლეხური მეურნეობის საწარმოო ძალთა ზრდა.

ამ უკანასკნელ ხანებში პარტია და ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ რევოლიუციონური კანონიერების დაცვას და ცხოვრებაში გატარებას და ამ ამოცანის განხორციელებას აკისრებენ იუსტიციის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების ორგანოებს. მაგრამ სინამდვილეში რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცება და ცხოვრებაში გატარება, დანაშაულებრივობასთან, კლასიური ხაზის დამახინჯებასთან, ადმინისტრატიულ თვითნებობასთან, ბიუროკრატიზმთან, ვაფლანგვასთან, მექრთამეობასთან, ერთი სიტყვით ყველა იმ ბოროტებასთან ბრძოლის გამარჯვებით დამთავრდება, რაც აბრკოლებს სოციალისტურ მშენებლობას, მრეწველობის განვითარებას და ჩვენი მეურნეობის გაუმჯობესება შესაძლებელი იქნება მხოლოდ თვით მშრომელთა მასის და უპირველეს ყოვლისა საბჭოთა საზოგადოებრივობის მოწინავე აქტივის, განსაკუთრებით კი საბჭოების და სექციების წევრთა, უშუალო-მონაწილეობით.

რუსეთის ფსსრ-კაში ზემოთაღნიშნული ამოცანების განხორციელების საქმეში მშრომელთა ჩაბმა დაიწყო ჯერ კიდევ 1925 წლიდან, ადმინისტრატიული-იურიდიული სექციების მოწყობის გზით. ადმინისტრატიული იურიდიული სექცია ერთის მხრივ აკავშირებს ყველა იმ ორგანოს, რომელთაც დაკისრებული აქვთ რევოლიუციონური კანონიერების ცხოვრებაში გატარება და დანაშაულებრივობასთან ბრძოლა, ხოლო მეორე მხრივ იგი წარმოადგენს მასიურ კონტ-

როლს მთავრობის და პარტიული დირექტივების თავის დროზე და სწორად შესრულებისათვის. ამიტომ აღნიშნულ სექციების ორგანიზაციას განსაკუთრებულად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს და ამ სექციებში ჩაიბას საბჭოთა საზოგადოებრივობის და მშრომელთა მასების საუკეთესო ძალები. სამაზრო, სათემო და სასოფლო-სამეურნეო ადმინისტრაციული-იურიდიული სექციების მოწყობაში უაქტივესი მონაწილეობა უნდა მიიღონ იუსტაციის სახ. კომისარიატის და მილიციის ადგილობრივ ორგანოთა მუშაკებმა.

ადმინისტრაციულ-იურიდიულ სექციას ეკისრება:

- ა) მონაწილეობის მიღება დანაშაულებრივობასთან ბრძოლაში.
- ბ) მონაწილეობის მიღება რევოლუციონური კანონიერების განმტკიცებასა და განხორციელების საქმეში.
- გ) მონაწილეობის მიღება სასამართლოების, პროკურატურის, გამოძიებლების, სასამართლო აღმასრულებლის და მილიციის ყოველდღიურ მუშაობაში.

დ) თვალყურის დევნება სახელმწიფო დაწესებულებების, სამეურნეო, კოლპერატული და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოთა დირექტივების, დადგენილების და ცალკე განკარგულების შესრულებისათვის.

ე) გამორკვევა იმისა, თუ რამდენად ჯეროვანი ყურადღება ექცევა მუშების და გლეხების საჩივრებს და სათანადო ორგანოთათვის ყველა შემჩნეული დაუდევრობის და გაჭიანურების შეტყობინება.

ვ) აქტიური მონაწილეობის მიღება იმ დაწესებულების აპარატის რაციონალიზაციაში, რომელზედაც სექციის წევრია მიმავრებული.

ზ) მონაწილეობის მიღება სამეთვალყურეო და განმანაწილებელ კომისიების მუშაობაში, აგრეთვე საპატიმრო და გამასწორებელი სახლების, და იძულებითი მუშაობის ბიუროს მდგომარეობის გამოკვლევაში.

თ) აქტიური მონაწილეობის-მიღება სახალხო მსაჯულთა არჩევაში.

ი) მუდმივი კავშირის დაჭერა, მშრომელთა მასებთან, ამბოკართა კომიტეტებთან, კოლმეურნეობებთან, საქარხნო და საფაბრიკო კომიტეტებთან მიწის და შრომის კანონების დარღვევისა და კლასიური ხაზის დამახინჯების გამოამკარავების მიზნით (ბრძოლა მევახშეობასთან, შემბოჰველი გარიგებების დადებასთან, მიწის ყიდვა-გაყიდვასთან, გადასახადის უსწორო შეწერასთან, კულა-კებთან კავშირის დაჭერასთან და სხვ.).

კ) მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების გაწევა და საბჭოთა კანონმდებლობის პოპულიარაზაცია.

ყველა ზენით აღნიშნულიდან აშკარაა რა დადი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური მშენებლობისათვის ადმინისტრაციული-იურიდიულ სექციების ორგანიზაციას. ამის მიხედვით ხელისუფლების ყველა ორგანო, ყველა დაწესებულება, საწარმო და ორგანიზაცია ვალდებულია ჯეროვანა ყურადღება გამოიჩინოს ამ საქმისადმი და ყოველმხრივად ხელი შეუწყოს როგორც აღნიშნული სექციების ჩამოყალიბებას, ისე მათ ყოველ დღიურ მუშაობასაც და ამით შესაძლო გახადოს მშრომელთა მასების აქტიური მონაწილეობა საკუთარი სახელმწიფოს მშენებლობისა და ხელისუფლების განმტკიცების საქმეში.

როგორ უნდა სწავრობოდეს მუშაობა სახალხო მსაჯუ- ლებთან *)

სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტის მნიშვნელობა ჩვენი საბჭოთა სასამართლო წყობილებისათვის და სასამართლო ორგანოების მუშაობისათვის იუსტიციის ყველა მუშაკებისათვის ნათელია; ამ საგანზე ბევრი რამ ითქვა და დაიწერა.

დღეს ჩვენ წინაშე სდგას საკითხი სასამართლო ორგანოების უფრო მეტად დაახლოვების შესახებ მასებთან და ამ ორგანოების მუშაობაში თვით მასების უფრო აქტიურად და შეგნებულად ჩაბმის შესახებ.

სასამართლო ორგანოების მასიური მუშაობის გაცხოველება-გაძლიერება ერთის მხრივ, და მეორე მხრივ, თვით მასების დაინტერესება სასამართლოს მუშაობით და ამ მუშაობაზე მასების კონტროლის გაწევა, ფრიად ხელს შეუწყობს რევოლუციონურ კანონიერების განმტკიცებას, სასამართლო პრაქტიკის ცხოვრებასთან დაახლოვებას და სწორ კლასობრივ პოლიტიკის გატარებას.

ერთ-ერთი სახე სასამართლოს ორგანოთა მასიურ მუშაობისა არის მუშაობა სახალხო მსაჯულთა შორის. ამ მუშაობის მიზანი არის ერთის მხრივ სახალხო მსაჯულთა და სასამართლოს ორგანოთა შორის მუდმივი და მტკიცე კავშირის დამყარება და მეორეს მხრივ სახალხო მსაჯულთა კულტურულ დონის და იურიდიულ ცოდნის აწევა.

უნდა ითქვას, რომ ამ დარგში ჯერ-ჯერობით საგულისხმო ნაბიჯები კიდევ არ გადადგმულა და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტს დღესაც ახასიათებს საკმაო დეფექტები, სახელდობრ: 1) ნაწილი სახალხო მსაჯულებისა სთვლის თავის მოვალეობას დამამამძიმებელ ბეგარათ, ამიტომ ხშირად იჩენენ თავიანთ მოვალეობისადმი ერთგვარ გულგრილობას და სასამართლოში ცხადდებიან დაგვიანებით, ან სრულიადაც არ ცხადდებიან ზოგჯერ და სხვა; 2) ზოგიერთებმა არ იციან თავიანთი უფლებები, სასამართლოში საქმის განხილვის დროს არ იჩენენ სათანადო ინტერესს და აქტივობას; 3) საკმაო ნაწილმა არ იცის საბჭოთა კანონები, პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების დირექტივები; აქედან-კი ცხადია საქმეების გარჩევის დროს შესაძლებელია სწორი კლასობრივი ხაზიდან გადახვევა და მის დამახინჯება. არის შემთხვევა, როცა ამა თუ იმ საკითხის გადაჭრის დროს სახალხო მსაჯული, მეტადრე სოფლად საქმეს უდგება, ცალკე პიროვნების, ან ვიწრო ჯგუფის და არა კლასისა და სახელმწიფო კოლექტივის ინტერესების თვალსაზრისით; 4) სახალხო მსაჯული ლეზულობს რა მონაწილეობას სასამართლოს მუშაობაში წელიწადში მხოლოდ 6 დღის განმავლობაში შემდეგ სწყვეტს კავშირის სასამართლოსთან; 5) სახალხო მსაჯული ვერ არის დაკავშირებული საზოგადოებრივობასთან და თავის ამოპრჩევლებთან და უკანასკნელთა წინაშე საანგარიშო მოხსენებებით არ გამოდის. ყველა ამ დეფექტების თავიდან ასაცილებლად და უმთავრესად იმი-

*) წინადადების სახით—რედაქცია.

სათვის, რომ სახალხო მსაჯულთა და სასამართლოს შორის მუდმივი კავშირის დაჭერით დავაინტერესოთ მშრომელი მასა სასამართლოს მუშაობით და ამ მუშაობაზე გავაძლიეროთ მისი კანტროლი,—რაც უსათუოდ ხელს შეუწყობს თვით სასამართლო აპარატის გაჯანსაღებას და ამ აპარატიდან ბიუროკრატიზმის და ვოლოკიტის განდევნას,—რომ თვით სახალხო მსაჯულნი გავხადოთ რევოლუციონურ კანონიერების გამტარებლად მასაში—ყველა ამისათვის საჭიროა რათა სახალხო მსაჯულთა შორის მუშაობა დავაყენოთ მტკიცე წინადაგზე და ჩამოვაყალიბოთ გარკვეულ ორგანიზაციულ ფორმაში.

თავის თავად ცხადია, რომ მუშაობის ფორმისა და მეთოდების გამონახვის დროს უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში მთელი რიგი სიძნელე, რომელიც ხელს უშლის მუშაობის ფართოდ დაყენებას; მაგ. იუსტიციის მუშაკთა სიმცირე და მათი დატვირთვა ყოველ დღიურ მუშაობით, რის გამო ნაკლები დრო რჩებათ საზოგადოებრივ მუშაობისათვის. შემდეგ სახალხო მსაჯულთა მრავალრიცხოვანი შემადგენლობა, მათი დაფანტულობა სხვადასხვა წარმოებებზე და დაწესებულებებზე, მათი კვალიფიკაციის და კულტურულ დონის სხვადასხვაობა. შემდეგ უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო მსაჯულთა შორის მუშაობა წარმოადგენს უფრო მეტ სიძნელეს სოფლად, ვიდრე ქალაქში. სოფლად სახალხო მსაჯულთა შემადგენლობა უფრო მეტად არის ჩამორჩენილი კულტურულად, ტერიტორიალურად მეტად არის დაშორებული სასამართლოს უბანთან და აგრეთვე ჩაბმული არის სხვადასხვა სეზონურ სამუშაოებში. ამისდა მიხედვით პირველ ხანებში მუშაობა უნდა მოვაწყოთ ქალაქებში სახალხო მსაჯულთა უფრო აქტიურ წრესთან და შემდეგ თანდათანობით ჩავაბათ ამ მუშაობაში სახალხო მსაჯულთა ფართე შემადგენლობა, როგორც ქალაქში, ისე სოფლად.

სახალხო მსაჯულთა შორის მუშაობა მისი ფორმის, შინაარსის და მეთოდების მიხედვით ჩვენის აზრით უნდა სწარმოებდეს შემდეგნაირათ:

1. სახალხო მსაჯულთა გაერთიანება ხდება სახალხო სასამართლოს უბანთან, მასთან მიმავრებულ სახალხო მსაჯულთა სიის მიხედვით. გაერთიანებული ჯგუფი საერთო კრებაზე აირჩევს პრეზიდიუმს, ან ბიუროს, რომელშიაც შევლენ აგრეთვე სახალხო მოსამართლე და საბჭოებთან არსებული ადმინისტრაციულ—უფლებრივი სექციების ბიუროს წევრები.

2. სახალხო მსაჯულთა ბიუროსთან კავშირის დასაჭერად ცალკე წარმოებებში და დაწესებულებებში სახალხო მსაჯულები აირჩევენ რწმუნებულებს.

3. თითოეულ ჯგუფთან მიმავრებულ იქნება იუსტიციის მუშაკთა განსაზღვრული რიცხვი, მუდმივი მეცადინეობის საწარმოებლად.

4. ჯგუფის საერთო კრება უნდა ხდებოდეს 3 თვეში ერთხელ, სადაც საანგარიშო მოხსენებით გამოვლენ როგორც სასამართლოს მუშაკნი, ისე თვით მსაჯულები, და გარდა ამისა ამ კრებებზე გაშუქებულ იქნება ყველა საკითხები, რომელიც ეხება სასამართლოს მუშაობის ნაკლს, კანონმდებლობის ნაკლს და სხვა, და მოსმენილი იქნება სახალხო მსაჯულთა პრაქტიკული წინადადებები დეფექტების გასწორების შესახებ.

5. ბიუროს თაოსნობით უნდა კეთდებოდეს ასეთი მოხსენებები თვით წარმოებებში და დაწესებულებებშიც და აგრეთვე სახალხო მსაჯულნი უნდა გამოდიოდნენ საანგარიშო მოხსენებებით თავიანთ ამომრჩეველების წინაშე.

6. სახალხო მსაჯულთა წარმომადგენლებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა სასამართლო ორგანოების გამოკვლევებში და რევიზიებში.

7. სახალხო მსაჯულთა წარმომადგენლები უნდა ესწრებოდნენ იუსტიციის მუშაკთა თათბირებზე და კონფერენციებზე.

8. სახალხო მსაჯულთა იურიდიულ ცოდნის ასამაღლებლად წარმოებებში და დაწესებულებებში უნდა მოეწყოს იურიდიული წრეები.

9. იურიდიულ წრეების მეცადინეობის საგანი იქნება როგორც თეორეტიული საკითხები, ისე პრაქტიკულიც: მაგ. როგორ სწარმოებს სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესი, განაჩენების და გადაწყვეტილებათა აღსრულება და სხვა. იურიდიულ წრის მსმენელნი გაეცნობიან აგრეთვე სასამართლოს მიერ გარჩეულ რამოდენიმე ტიპიურ საქმეს.

10. იურიდიულ წრის მეცადინეობა უნდა ხდებოდეს კვირაში ერთხელ თავისუფალ დროის შერჩევით, და თითოეულ მეცადინეობის ხანგრძლიობა არ უნდა აღემატებოდეს 2 საათს.

11. იურიდიული წრის პროგრამას დაამუშავენ იუსტსახკომის საორგანიზაციო სამმართველო.

12. ჯგუფის თაოსნობით და სახალხო მსაჯულთა მონაწილეობით მუშათა კლუბებში უნდა მოეწყოს დროგამომწეებით საჩვენებელი პროცესები, ლექციები, მოხსენებები, კითხვა-პასუხის, საღამოები და სხვა.

თავისთავად ცხადია, რომ სახალხო მსაჯულთა შორის მუშაობა იქნება ნაყოფიერი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს თითოეული მუშაკი მთლად განიმსჭვალება შეგნებით ამ მუშაობის მნიშვნელობის შესახებ, და აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ამ მუშაობის ჩატარებაში.

სახალხო მსაჯულთა მუდმივ ჩაბმას სასამართლოს მუშაობაში და სასამართლოს მუშაკთა მასიურ მუშაობის გაძლიერებას დიდი მნიშვნელობა ექნება სასამართლო ორგანოების მშრომელ მასებთან დაახლოვების და რევოლუციონურ კანონიერების განმტკიცების საქმეში.

ი. ბოჭორიშვილი

უსიკოლოგიური მხარე მოწმის ჩვენებაში*)

იურიდიულ მეცნიერების იმ ნაწილისათვის, რომელსაც მართმსაჯულება ეწოდება, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ე. წ. მოწმის ჩვენებას. ისე როგორც ყოველგვარი მსჯელობა დამოკიდებულია იმ ფაქტების სისწორით აღწერაზე, რომელსაც იგი ეხება, ასევე მართლმსაჯულებსაც იმდენად სდგას თავის მოწოდების სიმალდეზე, რამდენადაც სანდოა და უეჭვო ის ფაქტები, რომელსაც იგი ემყარება. ასეთ ფაქტთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მოწმის ჩვენებას.

*) ტენიკურ მიზეზების გამო წერილი შემოკლებით იბეჭდება. რედაქ.

მოწმის მოვალეობაა, რაც შეიძლება ობიექტიურად აღწეროს ის, რის მოწამედაც არის დასახელებული. ამ ობიექტიურობის ძირითადი პირობაა მოწმის მიუდგომლობა: ის უნდა ცდილობდეს საქმის ვითარება სისწორით წარმოგვიდგინოს.

თუ რა საშუალება აქვს მეცნიერებას იმისთვის, რომ მან აღმოაჩინოს მოწმის ჩვენებაში ისეთი სიყალბე, რომლის მიზეზი თვით მოწმის განზრახვა არის, ჩვენ ამ უკან არ გვინტერესებს. მაგრამ გვაქვს თუ არა საბუთი მოწმის ჩვენება სინამდვილეთ ვალიაროთ ყოველთვის, როცა დადასტურებულია მისი მიუდგომლობა ფაქტების სისწორით გათვალისწინებისადმი? სხვანაირად: არსებობს თუ არა ფაქტების განზრახ დამახინჯების ვარდა, აგრეთვე მათი უნებლიეთ დამახინჯება? ამ კითხვაზე დღეს ორი აზრი არ არსებობს: უნებლიეთ დამახინჯება ფაქტების ცნობილია საერთოდ, როგორც მეცნიერებისათვის ისე ჩვეულებრივი დაკვირვებისათვისაც, და მისი მიზეზი პიროვნების არაცნობიერ არეში მარხია.

როგორც არის პიროვნების ეს არაცნობიერი განწყობა, ისეთივეა მისი ჩვენებაც. მომხდარ ფაქტის სწორად ასახვისათვის არ არის გადამწყვეტი ის, თუ რა სახით მოხდა ეს ფაქტი და რამდენად ჰქონდა მაყურებელს მისი გაგების საშუალება.

ორი პიროვნება, რომელთაც დაკვირვების თანასწორი პირობები აქვთ მაინც არ იძლევიან ერთნაირ ცნობას. რა არის ამის მიზეზი? ცხადია, რადგან ობიექტიურ საქმის ვითარებაში იგი არ მდგომარეობს, მისი მიზეზი სხვაგან უნდა ვეძიოთ. პიროვნებათა განწყობა ფაქტებისადმი განსხვავებულია; ერთი და იგივე მოვლენა შეიძლება ერთზე მძლავრ შთაბეჭდილებას სტოვებდეს, ხოლო მეორესათვის უმნიშვნელოთ მიმდინარეობდეს.

ამ ნიადაგზე შეიძლება მიღებული იქნეს ორი ტიპი ერთიმეორესაგან განსხვავებული. ტიპი რომელიც ყველაფერს თავისი „მე“-ს ინტერესების თვალსაზრისით ხედავს და ტიპი, რომელიც ახერხებს თავის საკუთარ ინტერესის გამოყოფას ობიექტიური მდგომარეობიდან. არ არის საგანგებოდ იმის მტკიცება საჭირო, თუ რაოდენ მნიშვნელობა ექნებოდა მართლმსაჯულებისათვის თვითეულ კერძო შემთხვევაში იმის გამორკვევას, თუ რა ტიპს ეკუთვნის ესა თუ ის მოწმე. საფრთხე იმაში კი არ არის, რომ ესა თუ ის მოწმე ამა თუ იმ მიზნისათვის შეუფერებელ ტიპს ეკუთვნის, არამედ იმაში, რომ ჩვენ არ ვიცით, თუ სახელდობრ რომელს ეკუთვნის. როცა ეს საკითხი გამორკვეულია, არსებობის საშუალება რათა კვლევა ძიება იმ მხრივ მიმართოს, რომ ისიც კი, რაც მოწმის როგორც მოწმის სუსტ მხარეს წარმოადგენს საქმის გასახსნელად იქნის გამოყენებული. ასეთი შემთხვევა შესაძლებელია ხშირი იყოს სასამართლო პრაქტიკაში. პირველის შეხედვით თითქოს რა უნდა მოგვცეს მაგ. ისეთმა მოწმემ, რომელიც მატარებლის კატასტროფის შესახებ ცნობების მოცემისას, უფრო მეტს ლაპარაკობს თავის „ახალ ქოლგაზე, რომელიც მან უახლოეს ქალაქში იყიდა“ — „ძალიან იაფად და რომელიც ამ კატასტროფის დროს დაკარგა“. მაგრამ არის ხშირად ისეთი შემთხვევა, როცა რომელიმე სხვა თვალსაზრისით უმნიშვნელოვარეობებს დიდი ღირებულება ეძლევა საქმის ინტერესისათვის. „მოწმის

ასეთი ეგოისტური ყურადღებით*) დამახსოვრებული შემთხვევის შესახებ მოცემული ცნობები უნდა იქნას განსაზღვრულ მიმართულებით გამოყენებული. იგი იძლევა სწორ ცნობებს დეტალების შესახებ მაგ. მომხდარ მკვლელობის შესახებ ასეთი მოწმე შეიძლება ვერ იძლეოდეს სწორ ჩვენებას მკვლელობის არსებით მიზეზებზე, მაგრამ მან იცის როგორი ჩაცმულობისა იყო, რა დრო იქნებოდა სადღეობის წინ ან შემდეგ და სხვ. ცხადია ასეთ შემთხვევაში რაც შეიძლება დროულად უნდა იქნას მოწმის ეს ცალმხრივი მიდრეკილება შემჩნეული და შემდგომი ცნობების მიღებაც უმთავრესად ამ მიმართულებით უნდა იქნას გაღრმავებული.

სიფრთხილით მოპყრობა ესაჭიროება აგრეთვე ობიექტიურ ტიპსაც, არის შემთხვევა როდესაც მოწმე აღწერს ობიექტიურად და ძლიერ დაწვრილებითაც, მაგრამ მისი აღწერა არ ეხება იმ ძირითად გარემოებას, რომელიც საქმისათვისაა მნიშვნელოვანი. მას არ შეუძლია თავისი გულისყური იმ მხრივ მიმართოს, რომ ერთმანეთისაგან განასხვავოს მთავარი და მეორე ხარისხოვანი მოვლენა. მისი ცნობები უსისტემოთ მისდევნენ ერთმანეთს და ხშირად ეს მექანიკური გადმოცემა ცნობებისა ისეთ ხასიათს იღებს, რომ დასაწყისსა და დასასრულს შორის არავითარი შინაგანი კავშირი არ არის. მაგ. მოწმე იწყებს დამნაშავეს ბიოგრაფიით და დაახლოებით შემდეგ ნაირად განაგრძობს: „...ის მისი ნათესავია, რომელიც შარშან გარდაიცვალა. საწყალი რა კარგი კაცი იყო, მგონი მას ივანე ერქვა,—არა! სხვაა—ივანე ნიკოლოზის შვილს ჰქვიან, ის ცოცხალია“. და სხვ. მოწმეს დაავიწყდა მთავარი, იგი გაჰყვა შთაბეჭდილებათა უსისტემოთ გადმოცემას და ერთი პირის დახასიათებიდან გადავიდა მეორეზე, მეორედან მესამეზე და ა. შ.

ისმება კითხვა: სად არის აქ მთავარი საფრთხე? თუ მოვლენის დეტალური აღწერა, როცა იგი ობიექტიურობასაც შეიცავს დამაკმაყოფილებელია საერთოდ, მაშინ ზემოდმოყვანილი მოწმის ჩვენებაც ერთი საუკეთესოთაგანი უნდა იყოს. მაგრამ ეს ასე არ არის და ეს იმიტომ, რომ მთელი ეს ობიექტივიზმი ეხება უმნიშვნელოს, მეორე ხარისხოვან გარემოებას და ვერაფერს გვეუბნება არსებითად. მაგრამ შეიძლება ვინმემ შემდეგნაირად იმსჯელოს: ეს მოწმე ძლიერ ობიექტიურ და დაწვრილებით ცნობებს იძლევა, იგი ეხება ისეთ მოვლენებსაც კი, რომლებიც შორს დგანან საძიებელ ფაქტებიდან და თუ ამ უკანასკნელზე იგი არაფერს ამბობს, ალბათ იმიტომ, რომ ან ამ ფაქტს სრულიად არ ჰქონია ადგილი ან და მან ამის შესახებ არაფერი იცის. ეს დიდი შეცდომა იქნებოდა. აქ საჭიროა ჩავერიოთ მოწმის წარმოდგენათა მსვლელობაში, შევქმნათ მის ცნობიერებაში მოგონილ წარმოდგენათა შესაფერისი მიზეზობრივობა და ამ გზით მივიღოთ ის ცნობები, რომელიც გვესაჭიროება და რომელიც თუმცა მოწმეს აქვს. მაგრამ მისი მოგონება ან არ მიაჩნია საჭიროდ ანდა არ ეხერხება.

ამა თუ იმ შემთხვევისათვის ყურადღების მიპყრობას განსაზღვრავს აგრეთვე ის გარემოებაც თუ რამდენად შესძლებს რომელიმე სურათის, ვთქვათ მოკლეულის გვამის დათვალიერებას მაყურებელი. ზოგიერთს სრულიად არ შე-

*) А. Ф. Кони „Псих. и свид. показ.“ Новые идеи в Филос. Сб. № 9. 1913 г.

უძლია ასეთი სურათის ცქერა. მათი ყურადღება მიქცეულია თითქმის ყველაფრისადმი, რაც მიცვალებულის მახლობლად იმყოფება და რომელიც თავის კვალს ასვამს მის ჩვენებაზე. მეორეს მხრივ, ასეთი მდგომარეობა, ხშირად ისეთი გიპნოტურ ზეგავლენას ახდენს პიროვნებაზე, რომ მიუხედავად მთელი საშინელებისა იგი თვალს ვერ აშორებს ამ სურათს მაშასადამე ერთი და იგივე საგანი იზიდავს ერთის ყურადღებას, ხოლო საწინააღმდეგოდ მოქმედებს მეორის მიმართ.

ამრიგად თუ ამ სხვადასხვა პიროვნებებს მოუხდებათ ასეთი ტრალიკული ამბავის შესახებ ჩვენების მიცემა, თვითუფილი მათგანი იქნება არა სრული, მაგრამ მაინც შესაძლებელია მათი ჩვენების განმთლიანებით სრული სურათის აღდგენა.

ამ შემთხვევისათვის ერთი მოგვიტხრობს ყოველგვარ დეტალებზე იმის შესახებ რაც არსებობს მიცვალებულის გარშემო, არ შეუძლია რაიმე სთქვას მაგ. თუ როგორი ტანსაცმელი ეცვა, გულაღმა იწყება თუ გვერდით მიცვალებული და სხვ. მეორე კი აგვიწერს სახის გამომეტყველებას, ქრილობის მდგომარეობას და სხვ. მაგრამ მას არ შეუძლია სთქვას ოთახის ფანჯრები ღია იყო თუ არა და სხვ. ასევე სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს ერთი და იგივე მოვლენის ათვისება სხვადასხვაგვარად განწყობილ პიროვნებათა მიერ. რასაკვირველია ყველაფერი ამ განწყობაზე არაა დამოკიდებული. განწყობას უმეტესად ქმნის ობიექტი და როდესაც, ეს უკანასკნელი თავისი არსებითი ნიშნების სიმკვეთრით ერთნაირად უკავშირდება საშვალო აღმანიანის ცნობიერებას, მაშინ საქმე გვაქვს ერთნაირ შთაბეჭდილებებთან, ერთნაირ შეგრძნებებთან, მაგრამ ეს რიცხვის სიმრავლე საგანზე წარმოშობილ აზრების ერთგვარობისა კიდევ არ ნიშნავს, რომ საგნის სურათი თუ გინდ მთავარ ნიშნებში, ამით სწორად იყოს მოცემული. ამიტომ რამდენიმე მოწმის ერთნაირი ჩვენება, თუმცა გულწრფელი, შეიძლება სრულიად არ შეეფერებოდეს სინამდვილეს. რაფაელის სიქსტინის მადონაში მნახველების მასსა ვერ ამჩნევდა იმ ნაკლს, რომლითაც მას ახასიათებდა. მაყურებლის თვალწინ იშლებოდა მიმზიდველი სურათი გარკვეულ ეპოქის, „რომელსაც ერთვის მისი (მაყურებლის) ცოდნა და წარმოდგენა მადონას კულტზე, განწყობილება და აზრები, დაკავშირებული რაფაელთან და რენესანსის პირველ ეპოქასთან“*). ხოლო შემუშნეველი რჩებოდა, რომ ხსენებულ სურათში სიქსტინის პაპი V ამართულ მარჯვენა ხელზე ექვსი თითი ჰქონდა. ამ შეუსაბამობას ერთი პროცენტიც ვერ ამჩნევდა. აქედან ცხადია რამდენად მიზანშეუწონელი და შემცდარი იყო ერთ დროს გაბატონებული ფორმალი პრინციპი სასამართლო პრაქტიკაში, რომელიც ანგარიშს უწევდა ერთგვარ ჩვენების მომცემ მოწმეთა რიცხვს და არა იმ ფსიქიურ მოვლენათა თავისებურებას, რომელთან, როგორც თანასწორ პირობებით გამოწვეულთ ჰქონდათ ერთი და იგივე წყარო შეცდომისა. ასეთია საერთოდ ის ზოგიერთი ნიმუშები ყურადღების როლისა მოვლენის გაგებაში, რომელიც, უარყოფითად მოქმედებს მოწმობის ჩვენების ღირებულებაზე.

*) Конторович „Психол. свидет. показаний“. 1925 г.

ასეთივე ხასიათის დაბრკოლებებთან გვაქვს საქმე, როდესაც საკითხი ის-მის მოწმობის მეხსიერების უნარიანობაზე, რომელსაც დიდი ადგილი უჭირავს მდგომარეობის ობიექტურ გადმოცემისათვის. პირველად მიღებული შთაბეჭდილება დროთა მსვლელობაში თანდათან სხვაფერდება ადამიანის ცნობიერებაში. ცოცხალი და ნათელი წარმოდგენები ბუნდოვანი ხდებიან და როცა ადამიანი ცდილობს მოიგონოს, აღადგინოს განცდილი მდგომარეობა ამ ნიადაგზე დაჭიმული მისი ენერგია ხშირად უნებურად ასხვაფერებს პირველ დაწყებით წარმოდგენას. პირველად მიღებულ განცდების დროს ნაკლებ ყურადღებით შეთვისებული ელემენტები დროთა მსვლელობაში ერთგვარ ხარვეზებს ქმნის მოვლენის მთლიან წარმოდგენაში და ასე ვსთქვათ, ეს ცარიელი ადგილები შთაბეჭდილების სრული სურათის აღდგენის ცდაში, არაცნობიერად ივსება სხვა მსგავსი შინაარსით, რომელიც ხან სხვათა ნათქვამის ზეგავლენით მუშავდება და ხან საკუთარი უანტაზიის საშეალებით. ცხადია, როცა ასეთ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე მოწმის ჩვენებაში, იგი არ იქნება სინამდვილის სწორი სურათი. ორი სხვადასხვა პირობის ზეგავლენით არის ეს შემცდარი წარმოდგენები. ერთი ობიექტურ ხასიათისაა, ხოლო მეორე სუბიექტურის. პირველთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იმას, თუ რა ხანით იყო მოვლენის ზემოქმედება მაყურებელზე, ან რა დრომ განვლო პირველად მიღებულ შთაბეჭდილებასა და მის აღდგენას შორის. ფსიქოლოგიურ ცდებით საკმაოდ დასაბუთებულია, რომ მეტად მცირე დროის განმავლობაში მიღებული შთაბეჭდილებანი არა ჩვეულებრივადაა გადიდებული გახსენების დროს, ხოლო განვლილი დრო 10—75 წუთამდე—ძალზე შემცირებულია*). იმ დროს, რომელიც თვეებს ან წლებებს შეიცავს, მეხსიერება ამცირებს. განსაკუთრებული სისწრაფით ქრებიან მეხსიერებიდან ზოგიერთი ხასიათის მოვლენები, როგორცაა ფერი და რიცხვი. მაგ. თუ როგორი იყო დაზარალებულის ტანსაცმელის ფერი ან სახლი, როქელშიდაც მოხდა ბოროტმოქმედება, ან იყო თუ არა ამ შემთხვევის ადგილას ბევრი ხალხი, თუ მხოლოდ რამოდენიმე, სახელდობრ რამდენი და .ა.შ. ძლიერ ადვილად ავიწყდება მაყურებელს.

სუბიექტიურ პირობათაგან აღსანიშნავია ტემპერამენტი, პროფესია, კუთხური და ნაციონალური თავისებურობანი, სულიერ ჯანმრთელობა, ჰასაკი, სქესი და სხვა. შევჩერდეთ ზოგიერთზე.

რამდენად სარწმუნო შეიძლება იყოს სულიერად ავადმყოფის ჩვენება? როგორც თეორიაში ისე პრაქტიკაში მრავალი საწინააღმდეგო აზრი იქნა გამოთქმული ასეთ მოწმის ჩვენების ღირებულების წინააღმდეგ, მაგრამ საბოლოოდ მაინც პრაქტიკის გზით განმტკიცებულია მისი არსება.

ჯერ კიდევ რომის სამართალი უარყოფდა სულით ავადმყოფის ჩვენების მიღებას სასამართლოს წინაშე, მაგრამ ასეთი შესაძლებლად მიაჩნდა ანდერძის შედგენის შემთხვევაში. სავსებით უარყოფა სულიერად ავადმყოფის მიერ გარეშე მოვლენათა სისწორით შეთვისებისა და მაშასადამე მოწმობის გაწვევის უნარიანობისა, შეუძლებელია. მთელ რიგ შემთხვევებით მტკიცდება ამ აზრის სის-

*) Марбе „Научн. и практич. знач. психол. 1913 г. 36. გვ.

წორე, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როცა მაყურებელი არავინ არ არის, გარდა სულიერად არანორმალურ პირისა. მდიდარ მასალას იძლევა ამ მხრივ ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში მომხდარი ბოროტმოქმედებები, სადაც ხშირად „ავადმყოფის ჩვენება სასამართლოს წინაშე განიხილოდა ჩვენების განსაკუთრებული სიცხადით და იმდენად დაიმსახურებდა ხოლმე ნდობას, რომ სასამართლოს მიუხედავად დამცველთა წინააღმდეგობისა, მიუღიათ იგი საესტაბლიშმენტო დამაჯერებლად და ამ საფუძველზე განუსაზღვრავთ სასჯელი ბრალდებულის მიმართ*). ცხადია ამავე დროს, რომ მოწმის ჩვენებას ამ მიმართულებით განსაზღვრული ვასაქანი აქვს.

საყურადღებოა აგრეთვე სქესობრივი განსხვავება, რომელიც თავის დაღს ასვამს მოწმის ჩვენებაზე. ცნობილია, რომ მამაკაცთან შედარებით დედაკაცებს უკეთესი უნარი აქვთ მომხდარ შემთხვევის დეტალების დამახსოვრებისა. სხვათა შორის ასეთივე მდგომარეობაა შემჩნეული ბავშვების ჩვენებაშიც, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ დედაკაცის მეხსიერებაში ნახული მოვლენის შენარჩუნება მისი განსაკუთრებული მრგნობიერებითა გამოწვეული და იძლევა მთლიან სურათს მოვლენაზე; ხოლო ბავშვების ყურადღების დეტალიზაცია კი, იმითაა გამოწვეული, რომ ამ ყურადღების ქვეშ საგანთა ნაკლები რაოდენობა თავსდება და ამიტომ შესაძლებელი ხდება ამ ნაწილის ზედმიწევნით შეთვისება. ცდის ნიადაგზე დამტკიცებულად ითვლება აგრეთვე, რომ, დრო, რომლის განმავლობაში შემთხვევა მოხდა, სხვადასხვანაირად არის განცილებილი მამაკაცისა და დედაკაცის მიერ. მაგ., მამაკაცი ხსენებულ დროს გაზვიადებულად გადმოგვცემს 45 პროცენტით ხოლო დედაკაცი კი 111 პროც. თვითივე კერძო შემთხვევაში ასეთ განსხვავებას ანგარიში უნდა გაეწიოს მოწმის ჩვენების შეფასების დროს.

უნდა აღინიშნოს კიდევ შთაბეჭდილებების მიღების ის თავისებურება, რომელსაც ქმნის ხშირად პიროვნების ესა თუ ის სულიერი განწყობილება. მაგ. სხვადასხვა გვარად შეიძლება განცილებილი იქნას ერთი და იგივე მოვლენა, ვთქვათ, მოლოდინის დროს, მოულოდნელობის შემთხვევაში, ან როდესაც განსაკუთრებული შიშია გამოწვეული მაყურებელში. ერთერთი ყოფილი სამხედრო პირი, ჩვეულებრივად დაკვირვებული და სერიოზულ წინდახედულობით მოსაუბრე, მეორე დღეს მატარებლის კატასტროფისა, რომლითაც თვით მოგზაურობდა, იძლევა ჩვენებას აღნიშნულ შემთხვევის შესახებ, რომ რკინის გზასთან ასამილი კაცის გვამი იყო, აღამიანთა მოწყვეტილი თავები და ხელები უწყსრიდგოდ ეყარა გვამების ახლოს და სხვ. სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ერთი კაცის მსხვერპლი იყო და რამოდენიმეს მსუბუქად დაშავება. ბრაზმორეული პატიმარი შეუტევს საპატიმროს ზედამხედველს და ეს უკანასკნელი „ხედავს“ რა პატიმრის ხელში ამოწვილი დანას რაც შეიძლება გარბის ყვირილით და სათანადო ორგანოს მთელი თავისი არსებით მოუთხრობს თუ როგორ შემთხვევით გადაუტრია პატიმრის მიერ მისთვის სასიკვდილოდ მომართულ დანას. ნამდვილად კი დადასტურდა რომ პატიმარს ხელში ჩვეულებრივი „სელიოტკა“ ეჭირა.

*) Крафтш-Эбннг—, „Судеб. психопатология“ 83. 605.

ამგვარი ფაქტები რომლითაც მდიდარია სასამართლოს პრაქტიკა, დაბე-
ჯითებით მოითხოვს, რომ საჭიროა მოწმის ჩვენების ფსიქოლოგიის სერიოზული
შესწავლა.

ამასთან აღსანიშნავია მოწმის ფიზიკური ნაკლი, რომელიც სხვადასხვა
გვარად მოქმედებს ნამდვილ სურათის აღდგენაზე. როცა ასეთ პირთან გვაქვს
საქმე, თუმცა განსაზღვრული მაგრამ ზედმიწევნით სწორი ცნობების მიღებაა
შესაძლებელი, მაგრამ მხედველობიდან არ უნდა იქნას გაშვებული ის გარემოება,
რომელიც ჩვენების დროს ასეთ ფიზიკურ ნაკლის მატარებელს თან სდევს. მოწმე,
რომელიც არის კოჭლი, კუზიანი, მელოტი და სხვა ვერ იძლევა პირდაპირ
ჩვენებას ამდაგვარ ნიშნების შესახებ სხვის მიმართ. ერთის მხრივ, ეს დამოკი-
დებულია იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის მეხსიერებაში მალე ჰქრება ის რაც
არასასიამოვნოა და განცილებილი და ამიტომ ცდილობს მასზე ყურადღების მოპყ-
რობა რაც შეიძლება ხანმოკლე იყოს. ხოლო მეორეს მხრივ ასეთი პირი უხერ-
ხულობას გრძნობს, როცა საჯაროთ უხდება იმ ცნობების (ფიზიკური ნაკლი)
გამომჟღავნება, რაც თვითონ ახასიათებს.

დასასრულ აღვნიშნავთ თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოწმის ჩვენების
სინამდვილეზე თვით პროცესს ვადმოცემისას — იმ გავლენას რომელსაც განიც-
დის მოწმე დაკითხვის დროს. ხშირად დასმულ საკითხში უკვე მოცემულია პა-
სუხა, რომელსაც ძალაუფლებურად ვეღარ უხვევს გვერდს მოპასუხე. მრავალგვარ
კატეგორიულ შეკითხვებით რწმუნდება, რომ მან აუცილებლად რაღაცა იცის,
რაიმე უნდა უპასუხოს; იმ ჩვეულებრივ კითხვებზე როგორცაა: „თქვენ რასაკვირ-
ველა იცით“, „თქვენ უნდა იცოდეთ ამის შესახებ“ და სხვ. მოწმის წინაშე უწყეს-
რიგოდ იშლება, მთელი რიგი წარმოდგენებისა, რომლებიც ამ შთაბეჭდილების
ნიადაგზე ევლინება როგორც თითქოს მისმიერ ნახული. მაგ. როდესაც მოწმეს ვეკით-
ხებით: ჰქონდა თუ არა წითელი ცხვირსახოცი ხელში ბრალდებულს და ხმის ამაღ-
ლების უკეთებთ სიტყვა „წითელს“, ამით უკვე ნაგულისხმევია, რომ საერთოდ ცხვირ-
სახოცი ეჭირა ხელში ხსენებულ პირს, რაც შეიძლება სინამდვილეში სრულია-
დაც არ ყოფილიყოს. მოწმე ამ შემთხვევაში ამ აღნიშნულ ნივთის ფერის შე-
სახებ თუ დაფიქრდება თორემ, მასში უკვე აღარ იწვევს ეჭვს, რომ ბრალდე-
ბულს ხელში ხსენებული ნივთი ეჭირა, ვინაიდან ეს უდაო ფაქტათ მოახვიეს
თავზე. ცდის ნიადაგზე ადვილად დასტურდება საკითხის დასმით გამოწვეული
არა სწორი პასუხის მიღების შემთხვევები. მაგ. რომ ავილოთ რაიმე თეთრი ფე-
რის საგანი და უჩვენოთ მთელ რიგ პირთ და შემდეგ ვკითხოთ თუ რა ადგილ-
ზე აქვს ამ საგანს შავი წერტილი (სინამდვილეში საგანს ასეთი ნიშანი არ აქვს)
უმეტესი ნაწილი გარკვეულ ადგილზე მიუთითებს, ზოგს არ შეუძლია სწორად
აღნიშნოს ეს ადგილი, ზოგიც აცხადებს, რომ ვერ შეამჩნიეს, დაბოლოს მხოლოდ
რამოდენიმე აცხადებს მტკიცედ, რომ ხსენებულ საგანზე არავითარი ასეთი ნი-
შანი არ ყოფილა*) ცხადია აზრთა ასეთი სხვადასხვაობა გამოწვეულია შეკით-
ხვის შთაგონებითი ხასიათით, რომელიც არა ნამდვილ მდგომარეობას ჩრდილავს
მოპასუხის ყურადღების უნებურად სხვა გარემოებისადმი მიბყრობით. მრავალი

*) Эрих Штерн: Прикл. псих.“ გვ. 89. 1924 г.

ცდებით დადასტურდა ასეთი მეთოდის უარყოფითი მნიშვნელობა და პირიქით, სწორი ცნობების მიღების შანსები გაცილებით მეტია მაშინ, როდესაც მოწმის ჩვენება კითხვებზე პასუხი კი არ იწყება, არამედ თვით იწყებს თხრობას იმის შესახებ რაც იცის. ცხადია შეკითხვების როლი სავსებით გამორიცხული არ არის, მაგრამ ყოველშემთხვევაში სიფრთხილეა საჭირო, რათა იგი უწყისი იქნეს გამოყენებული*).

როგორც ვხედავთ მოწმეთა ჩვენების ესა თუ ის ღარსება მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ ფაქტორებთანაა დაკავშირებული, რომელიც საჭიროებს სერიოზულ შესწავლას გარკვეულ პრაქტიკულ მიზნებისათვის. ეს საკითხი ყურადღების ცენტრში დაისვა პარალელურად იურიდიულ აზროვნებისა (ბენტამი, ლისტარი და სხვ.) ფსიქოლოგიაშიც (ულამ შტერნი, ლიპმანი), რომელმაც მოგვცა მდიდარი მასალა აღნიშნულ დაბრკოლებათა დაძლევისათვის. როგორ არის შესაძლებელი ექსპერიმენტული ცდა მოწმის ჩვენებაში არაცნობიერად არსებულ ყალბი აზრების აღმოჩენისა? შესაძლებელია თუ არა საერთოდ ფსიქოლოგიური ექსპერტიზა და რა გასაქანი აქვს მას მოწმის ჩვენების მიმართ? და ბოლოს, როგორია ამ მხრივის ფონი, რომელზედაც იშლება მარქსისტულ ფსიქოლოგიის მონაცემი? ამ კითხვაზე შემდეგ.

ზ. ნარიშანიძე

1928 წ. 29 VIII შრომის წესების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები. *)

1928 წ. 29/VIII საქავშირო კანონი სცნობს შემფასებელ საკონფლიქტო კომისიებზე უფლებას შრომითი დაგების წინასწარი განხილვისა და ამასთან ერთად შეიცავს ამომწურავ ნუსხას იმ საქმეებისას, რომელიც გამორიცხული არიან შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების გამგებლობიდან—წესებს მე 10 მუხლი და შემფ. საკონფლიქტო კომისიების დებულების მე 12 მუხლი. ამ საქმეების რიცხვს ეკუთვნიან უპირველესათ ყოვლისა საქმეები ისეთ პირთა დათხოვნისა და სამსახურში აღდგენის შესახებ რომელთაც აქვთ უფლება დაიქირაონ და დაითხოვონ სამუშაოდან პასუხისმგებელი მუშაკები იმ კატეგორიისა, რაც ცალკე სიაში არის ჩამოთვლილი, რომელიც უნდა გამოქვეყნებულ იქნეს საქავშირო შრომის სახ. კომისარიატის და მოკავშირე რესპუბლიკებსა შრომის სახ. კომისარიატების მიერ სრულიად საქავშირო ცენტრალური პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსა და რესპუბლიკანურ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოებთან შეთანხმებით.

*) უსაფუძვლოა ამ მხრივ საყვედური ჩვენი პროცესუალურ კანონმდებლობისადმი, თითქო იგი „არ აწესებდეს განსაკუთრებულ წესებს საკითხის დაყენებაში... (B. A. Абуховецкий: „Уг-доказ. в ист. и сов. пр. გვ. 78. 1926 г.) ს. საკ. კ. 166 მუხლში სავსებით მოცემულია შეკითხვების დასმის უარყოფითი მნიშვნელობა თუ ის სათანადო წესით არაა მომარჯვებული წინა რომლის მიხედვითაც ყოველგვარ შეკითხვებს წინ უსწრებს მოწმის თავისუფალი ჩვენება ხსენებულ გარემოებით არის ნახელმძღვანელები. ი. ბ.

*) კომენტარის სახით. რედაქცია.

ცხადია, რომ აღნიშნულ კატეგორიის მუშათა ნომენკლატურის დამტკიცებამდე უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ ნუსხით, რომელიც მიღებული იყო საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1924 წ. 31 მარტს და რომელიც შეესებოდა იქნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს პლენუმის დადგენილებით. ამ უკანასკნელმა ამ მუშანთა ჯგუფს მიაკუთვნა კიდევ დაწესებულებათა „მოთვარი ბუჰვალტრები“.

დავების განხილვა ადმინისტრაციული წესით მხოლოდ „ქვემდებარეობის წესით ზემდგომ ორგანოებისა და პირების მიერ“ პირველად დაწესებული იქნა რუს. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უზენაეს სასამართლოს პლენუმის მიერ 1927 წ. 7 თებერვლის დადგენილებით, რომელიც უკრძალავდა საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წ. 31 მარტს გამოქვეყნებულ სიაში აღნიშნულ პირთ, რომელნიც „განსაკუთრებულთ ნდობით“ იყვნენ აღჭურვილნი მიემართათ შრომის სასამართლოსთვის. ამრიგად საკავშირო კანონმა წესების მე 10 მუხლის „ა“ პუნქტში არ დააწესა რაიმე ახალი პრინციპიალური თეზისი, არამედ საკანონმდებლო წესით ერთგვარ ფორმაში ჩამოაყალიბა საქმეთა განხილვის წესი ცალკე კატეგორიის პირთა მიმართ. აღნიშნულ კატეგორიის პირთ ამ კანონმა აუკრძალა შემფ. საკონფლიქტო კომისიაში ან შრომის სასამართლოში მიმართვა იმ საქმეების გამო, რომელიც შეეხებიან მათი ძველ თანამდებობაზე აღდგენის საკითხს, დამქირავებელს კი აუკრძალა სარჩელის წარდგენა შრომის ხელშეკრულების გაუქმებაზე.


ზოგიერთნი კანონის ამ მუხლს გაფართოვებულად განმარტავენ იმ მნიშვნელობით, რომ არცერთი კონფლიქტი აღნიშნულ კატეგორიის პირთა დამქირავებელთან არ უნდა იყოს განხილული შემფასებელ საკონფლიქტო კომისიაში და შრომის სასამართლოში. ასეთი მტიკიცება ჩვენ შემცდარათ გვეჩვენება შემდეგ მოსაზრებითა გამო:

1. შემფ. საკონფლიქტო კომისიების დებულების მე 12 მუხლის „ა“ პუნქტი ეხება მხოლოდ ამ კატეგორიის მუშების—სამსახურიდან დათხოვნის და სამსახურში აღდგენის საკითხებს.

2. წესების 64 მუხლი აწესრიგებს ხელშეკრულების გაუქმების და თანამდებობაზე აღდგენის საკითხს. წესების მე 65 მუხლი, რომელიც მიუთითებს 64 მუხლზე არავითარ ახალ დებულებებს აღნიშნულ პირებისთვის არ აწესებს და არ შეიცავს მითითებას იმაზე, რომ ამ პირთა ყველა სასარჩლო ხასიათის კონფლიქტები არ უნდა იყვნენ განხილული ამ ორგანოებში.

3. კანონი შემზღუდველია და უნდა ვიგულისხმოთ, რომ არ უკრძალავს აღნიშნულ პირთ ეძიონ შემფ. საკონ. კომისიაში და შრომის სასამართლოში ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვადასხვა გადასახდელი და საკომპენსაციო თანხები.

გაუგებერ ნოველას წარმოადგენ ის, რომ დამქირავებელის უკანონო მოქმედების ადმინისტრაციული წესით გასაჩივრების უფლება გავრცელებულია კერძო ორგანიზაციების „პასუხის მგებელ“ მუშაკებზე (წესების მე 10 და 65 მუხ). ამ კატეგორიის მუშაკთა მიმართ არავითარი კონტროლი არ შეიძლება იყოს, რადგან ჩვეულებრივ არ არის „ქვემდებარეობის წესით ზემდგომი ორგანო და



პირი“. საჭიროა მოიძებნოს პრაქტიკული ფორმა კანონმდებლის აზრისა და კერძო მეურნეზე ამ საკითხში საკონტროლო ინსტანცია დაწესდეს. ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ შემფ. საკონფ. კომისიების გამგებლობიდან გამო-რიცხულია ის საქმეები, რომელნიც ეხებიან შრომის ხელშეკრულების გაუქმებას პროფკავშირის მოთხოვნით (წეს. 10 მუხ. „ბ“ პუნ.).

იმ ლიტერატურაში, *) რომელიც საკავშირო კანონის განმარტებას ეხება გამოთქმულია აზრი, რომ როდესაც მუშაკი სამუშაოდან დათხოვნილია პროფკავშირის მოთხოვნით, „შემდეგში თუ ეს დათხოვნა პროფხაზით არა სწორათ იქნა მიჩნეული, დათხოვნილი მუშაკი აღდგენილ იქნება სამუშაოზე განაცდენის აუნაზღაურებლათ.“

ამ დებულების სისწორე ეჭვს არ იწვევს თუ დამქირავებელი თავისი ნებით აღდგენს დათხოვნილ მუშაკს.

მაგრამ როგორ მოექცეთ იმ შემთხვევაში, როდესაც დამქირავებელი უარს ამბობს დათხოვნილი მუშის ან მოსამსახურის მიღებაზე და რა წესით ვეძიოთ სამუშაოზე აღდგენა.

როგორც ვიცით საკავშირო კანონის გამოცემამდე პროფკავშირის მოთხოვნით სამუშაოდან დათხოვნა შეიძლება საკონფლიქტო წესით განხილულიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღმნიშნული პროტესტს განცხადებდა დათხოვნის წინააღმდეგ (სტოპანი—გვ. 90). იმ შემთხვევებში კი როდესაც კავშირმა სცხო თავისი შეცდომა დათხოვნილს არ შეეძლო მოეთხოვა თანამდებობაზე აღდგენა, რადგან მისი დათხოვნა გამოწვეული იყო „თავის დროზე კავშირის მოთხოვნით“ (მოქ. კონოვლოვას საქმე ტამბოვის წამლის ქარხანასთან № 12.497 1926 წ. 18/X. შრომის სასამართლოს პრაქტიკიდან სტოპანი—გვ.89). რ.ს.ფ.ს.რ. სასამართლოს პრაქტიკა. იმაზრს იზიარებდა, რომ თუ მშრომელი იქნა დათხოვნილი შრომის კანონთა კოდექსის 49 მუხლის საფუძვლით მაშინ ეს დათხოვნა არ შეიძლება იქნას გასაჩივრებელი სასამართლოს წესით. სასამართლოს ორგანოები არ არიან კომპეტენტური გაარჩიონ ის დავები დამქირავებელისა და პროფკავშირის შორის დაქირავებულსა და პროფკავშირის და მუშაკისა და დამქირავებლის შორის, რომელიც გამოწვეულია პროფკავშირების მიერ იმ უფლების გამოყენებით, რო მელსაც მათ შრომის კოდექსის 49 მუხლი ანიჭებს. მუშაკს შეუძლიან გაასაჩივროს პროფკავშირის მოქმედება მისი სამუშაოდან მოხსნის შესახებ მე 49 მუხლით მხოლოდ პროფკავშირის ზემდგომ ორგანოებში.

გამოთქმა, „საკონფლიქტო წესით“ განსაჩივრება დამქირავებლის მიერ კავშირის მოქმედებისა შრომის ხელშეკრულების დარღვევისათვის. გავებული ცყო იმ აზრით, რომ დამქირავებელს ჰქონდა უფლება მიემართა მომრიგებელ კამერებში და სამედიატორო სასამართლოებში (შმიტ § 516 კომენტ. კოდ. 49 მუხ.). წესების მე 10 მუხლი და შემფასებელ საკონფლიქტო კომისიების დებულების მე 12 მუხლებმა შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების გამგებლობიდან გამო-

*) Л. Э. Туманов. Р. Г. Енгибаров „Где и как разрешаются трудовые конфликты. стр. 62.“

რიცხეს ის საქმეები, რომელნიც ეხებიან შრომის ხელშეკრულების დარღვევას პროფკავშირის მოთხოვნით, დანარჩენმა დებულებებმა კი წესების მე III კარისა არ შეიტანეს მუხლი, რომელიც იძლეოდენ შესაძლებლობას პროფკავშირის მოქმედების გასაჩივრებისა შრომის სასამართლოში.

წესების მე 10 მუხლის განხილვას შემფ. საკონფ. კომ დებულების მე 12 მუხლთან ერთად იმ დასკვნამდე მიყვებართ, რომ შრომის სასამართლოებს აკრძალული აქვთ მიიღონ თავის წარმოებაში ის საქმეები, რომელნიც წარმოიშვენ შრომის კანონთა კოდექსის 49 მუხლის გამოყენებით.

მთელი მე 12 მუხლი შეიცავს ნუსხას იმ საქმეებისა, რომელნიც გამორიცხული არიან შემფ. საკონფ. კომისიებისა და შრომის სასამართლოების გამგელობიდან. გამონაკლისი დაშვებულია მხოლოდ იმ სასარჩლო ხასიათის კონფლიქტებისათვის, რომელნიც ჩამოთვლილია აღნიშნული მუხლის „ზ“ პუნ. ამ კონფლიქტების მიმართ შრომის სასამართლოში მიმართვა დაშვებულია. ამასთან შემფ. სანფლიქტო კომისიაში მიმართვის უფლების შეუზღუდვა შეეხო არა მარტო დამქირავებელს არამედ მუშაკსაც.

ყველა ზემოთქმულთან დამატებით უნდა ითქვას, რომ არც თვითშრომის კანონთა კოდექსის მე 49 მუხლი იძლევა საფუძველს მისი სხვადასხვანაირ გაგებისა. აქ პროფკავშირი გამოდის, როგორც კანონიერი მეურვე მშრომელებისა. საჯარო-უფლებრივ ორგანიზაციის სახით იმ საკითხებზე, რომელიც კანონმა მის სპეციალურ კომპეტენციას მიაკუთვნა. შრომის კანონთა კოდექსის მე 49 მუხლის წესები დაწესებულია იმ მიზნით, რათა დაცული იქნეს მშრომელთა მასის ინტერესები, როდესაც მათი დაცვის მიზნით ამა თუ იმ ცალკე მუშაკთან შრომის ხელშეკრულების ძალაში დატოვება ეწინააღმდეგება პროფესიონალური მოძრაობის საერთო ხაზს. მაგალითად, კოლექტიურ ხელშეკრულების დადების საწინააღმდეგო აგიტაცია, კავშირის მიერ გამოცხადებული გაფიცვის ჩაშლა და სხვა. სწორედ ამით აიხსნება, რომ პროფკავშირებმა მიითვისეს უფლება შრომის ხელშეკრულების გაუქმებისა მიზეზების აღუნიშვნელათ. პროფკავშირის მოთხოვნა სავალდებულოა მუშაკისათვის იმ შემთხვევაშიც, როცა მას სურს გააგრძელოს შრომითი ურთიერთობა იმავე საფუძველზე. პროფკავშირის მოთხოვნის გასაჩივრება შეიძლება ინსტანციური წესით საკავშირო ორგანიზაციებში. გასაჩივრება არ შეაჩერებს შრომის ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნას შრომის კანონთა კოდექსის მე 49 მუხლის წესით.

მოულოდნელ ნოველას წარმოადგენს შემფ. საკონფ. კომისიებისათვის ისეთ სასარჩლო ხასიათის კონფლიქტების განხილვის აკრძალვა, რომელიც ეხებიან ისეთ საწარმოში მომუშავე მუშა-მოსამსახურეებს სადაც არ მოიპოვება პროფკავშირის წევრები, (კერძოდ კონფლიქტები ისეთ ერთეულ მუშა-მოსამსახურეებისა, რომელნიც პროფკავშირის წევრად არ იმყოფებიან). ასეთ კატეგორიის პირთა საქმეები მხოლოდ შრომის სასამართლოს ექვე მდებარებიან (შემფ. საკონფ. კომისიის დებულების 12 მუხ. „ზ“ პუნქტი).

ამ ნოველის პრაქტიკული დანიშნულება მეტად საეჭოა, რადგან სინამდვილეში არ მოიპოვება ისეთი დაწესებულება და საწარმო, სადაც არცერთი პროფკავშირის წევრი არ იყოს. მაგრამ თუ თეორეტიულათ დაუშვებთ ისეთ საწარმოთა

არსებობას სადაც არცერთი პროფკავშირის წევრი არ მუშაობდეს, მაშინ არა კავშირის წევრებზე იმ უფლების უარყოფა, რომ მათ მიმართონ შემფ. საკონფლიქტო კომისიას—პირველად მომრიგებელ-საკონფლიქტო ინსტანციას, აუხსნელია, თუნდაც იმიტომ, რომ თვით შემფ. საკონფ. კომისიის ორგანიზაცია არავითარ დამოკიდებულებაში არ არის ჩაყენებული იმ პირთა პროფკავშირის წევრობისაგან, რომელიც ამა თუ იმ საწარმოში ან მეურნეობაში მუშაობენ. შემფ. საკონფ. კომისიის დებულების მე 2 მუხლით კი დაშვებულია ორგანიზაციათა ჯგუფურ შეფასებულ-საკონფლიქტო კომისიასა, ისეთ საწარმოში ან დაწესებულებებში სადაც არ არის მუშათა კომიტეტები. გარდა ამისა შემფ. საკონფ. კომისია არის არა კავშირის, არამედ პარიტეტული ორგანო, რომელიც შესდგება დაქირავებულისა და მუშათა კომიტეტის წარმომადგენელთა თანაბარ რიცხვიდან. მუშათა ნიწილის წარმომადგენლობა-კი შემფასებელ საკონფლიქტო კომისიაში ხდება არა დავალების ხელშეკრულებით, არამედ 15 მუხლის ძალით საჯარო-უფლებრივი ფუნქციის განხორციელების წესით.

6. ჯინჯარაძე.

ახალი კანონმდებლობის გამოქვეყნების პრაქტიკა შრომის კონფლიქტების გარეშე.

შრომის კონფლიქტების განხილვის ახალი კანონმდებლობის ძირითადი პრინციპებია:


ა) ყველა იმ პირთა სისხლის სამართლის და მატერიალური პასუხისმგებლობაში მიცემა, ვინც არღვევს შრომის კანონებს, კერძოდ იმათი ვინც კანონის გარეშე ითხოვს სამსახურიდან მუშაკებს.

ბ) შრომის საქმეები შრომის სესიებში და შემდგომ სასამართლო ინსტანციებში, უნდა განიხილულ იქნეს 7 დღის ვადაში.

გ) აკრძალულია საკასაციო წესით გასაჩივრება შრომის სესიის ისეთი გადაწყვეტილებისა ფულადი სარჩელისა გამო, რომლის რაოდენობა ერთი თვის ხელფასს არ აღემატება და არ არის დაკავშირებული სამუშაოდან დათხოვნასთან, და აგრეთვე იმ საქმეებისა, რომელიც ეხება ადმინისტრაციული გადასახდელის დადებას გარდა სამსახურიდან დათხოვნისა.

დ) უმაღლეს სასამართლოს ინსტანციას უფლება აქვს, არსებულ წესისაგან განსხვავებით (სამოქალ. საპროც. კოდე.) სრულიად მოსპოს საქმე და გამოიტანოს გადაწყვეტილება შრომის კონფლიქტის არსებითი მხარის გამო, თუ საქმე ფაქტური მხრივ საკმაოდ ნათელია. უმაღლეს საკასაციო ინსტანციის გადაწყვეტილებანი შრომის საქმეების გამო და შრომის სესიების მეორედი გადაწყვეტილება საკასაციო ინსტანციის მითითებით, გასაჩივრებას, გადასინჯვას და გაპროტესტებას არავითარ შემთხვევაში არ ექვემდებარებიან.

ე) დაწესებულია საკითხთა ის რიგი, რომელთა გამო კონფლიქტი არ შეიძლება შემფ.საკონფლიქტო კომისიის გარეშე იქნეს გადატანილი პირდაპირ შრომის სასამართლოში.



ვ) ხანდაზმულობის ვადის შემცირება იმ კონფლიქტებისათვის, რომელიც შედის, როგორც მომრიგებელ აგრეთვე სასამართლო ორგანოებში.

ზ) შრომის სასამართლოს გადაწყვეტილებათა ზედამხედველობის წესით განსაჩივრებისათვის ინსტანციების შემცირება.

კ) მომრიგებელ სამედიატორო ორგანოების გადაწყვეტილებათა იძულებითი აღსრულება იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომელნიც შრომის ორგანოების მიერ იქნებიან გაცემული.

ლ) პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ შესრულება (საკასაციო წესით განსაჩივრებისაგან დამოუკიდებლად) სარჩელი იმ ნაწილში რომელიც მუშაკის ერთი თვის ხელფასს არ აღემატება.

მ) მუშაკებისათვის მისჯილ თანხის უკან გამოთხოვის აკრძალვა გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მათ მიერ წარდგენილი იყო ყალბი დოკუმენტები და ყალბი ცნობები.

ო) უკანონო დათხოვილ მუშაკის აღდგენა სამუშაოზე და შრომის სესიის გადაწყვეტილებით ქონებრივი პასუხისმგებლობის დაწესება (სამი თვის ხელფასის ფარგლებში) ადმინისტრაციის იმ წარმომადგენელთა მიმართ, რომლებმაც დაუშვეს უკანონო დათხოვნა.

პ) მშრომელების და პროფკავშირების სარჩელების გამო მისჯილ თანხების გადახდევინების მიქცევა, საერთო-სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ ყველა პარაგრაფებზე და ხარჯთ-აღრიცხვებზე.

სისხლის სამართლის ხასიათის შრომის საქმეები.

1. თუ ავიღებთ სისხლის სამართლის საქმეთა მოძრაობას ტფილისის შრომის სასამართლოში, ჩვენ გვაქვს ასეთი სურათი:

1928 წ. შემოვიდა 272 საქმე.

1929 წ. 3 თვის განმავლობაში. 60 " "

შრომის კანონმდებლობის დარგში კანონების დარღვევა შეიძლება იყოს დაყოფილი შემდეგ კატეგორიებათ:

1) დამქირაველის მიერ იმ კანონების დარღვევა, რომელიც აწესრიგებს შრომის გამოყენებას და აგრეთვე შრომის დაცვისა და სოციალური დაზღვევის ნორმების დარღვევა 55%.

2) დამქირაველების მიერ პროფესიონალურ ორგანიზაციებთან დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულებების და სატარიფო შეთანხმებების დარღვევა-30%.

3) შრომის დაცვის კანონების განზრახ დარღვევა, მუშაკის ჩაყენება მუშაობის ისეთ პირობებში, რომლის დროსაც ჰკარგავენ შრომის უნარიანობას და სხეულებრივ ზიანდებიან 15%

რა სოციალური დაცვის ღონისძიებებს იყენებენ სასამართლოები შრომის კანონმდებლობის დარგში?

1) ჯარიმა;

2) იძულებითი მუშაობა თავისუფლების აღუკვეთლათ;

3) სასამართლო-გამასწორებელი ხასიათის სოციალური დაცვის ღონისძიება;

4) მიყენებული ზარალის ანაზღაურების დაკისრება.

ამ უანასკნელი სოციალურ დაცვის ღონისძიების გამოყენება შრომის სასამართლოს დაიწყო ახალი კანონის გამოცემის შემდეგ, რომლის 72 მუხ. აძლევს სასამართლომ უფლებას სახელმწიფოებრივ, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ საწარმოთა და დაწესებულებათა თანამდებობის პირთ დააკისროს ის ზარალი, რომელიც მოუვა ამ დაწესებულებებს და საწარმოებს უკანონო დათხოვნილ მშრომელისათვის მისჯილ გადასახდელის გადახდით. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს აღნიშნულ ნორმის გამოყენება დიდ გავლენას ახდენს გაუსწორებელ დამპირავებლებზე.

თუ საერთოდ ავიღებთ სასჯელ პოლიტიკას შრომის სასამართლოს და პროკურატურისას მაშინ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ორგანოებს ამ დარგში მტკიცე ხაზი არა აქვთ.

2) პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის წინადადებით (1928წ. მაისში) შრომის სასამართლოს მიეცა წინადადება, რომ შრომის საქმეები განხილული ყოფილიყო არა უგვიანეს 10 დღისა მათი შემოსვლის დღიდან დირექტივა ამ მიმართულებით სრულიად ტარდება. ყოველი კონფლიქტი სწყდება 5-10 დღემდე ხოლო თუ საქმეები გადაიდება ეს თვით პროფესიონალურ ორგანიზაციების მიერაა გამოწვეული რადგან უკანასკნელი არ არდგენენ სასარჩლო მოთხოვნილებების აღძვრისას სათანადო დოკუმენტებს. ამას უნდა დაერთოს პროფორგანოების თხოვნა საქმის გადადების შესახებ.

3. უზენაეს სასამართლოში შრომის საქმეები დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობენ, პროკურატურა უფრო მეტ მონაწილეობას იღებს საკასაციო ინსტანციათა მუშაობაში.

4. კანონმა შრომის კონფლიქტების მოძრივებელ სამედიატორო და სასამართლოს წესით განხილვის შესახებ დააწესა შემოკლებული ვადები სასარჩლო მოთხოვნილებათა წარსადგენათ, როგორც შრომის ორგანოების ხაზით აგრეთვე სასამართლოს ხაზით.

პირველ ხანებში სასამართლოს უხდებოდა გაშვებულ ვადების აღდგენა ვინაიდან ირკვეოდა, რომ ვადების გაშვების მიზეზი საპატიოა, იმის გამო რომ არ იყო გატარებული შრომის კონფლიქტებისათვის შემოღებული ახალი წესების პოპულარიზაცია და მუშა მოსამსახურებმა არ იცოდნენ ვადა განცხადების წარდგენისა.

5. კანონმა გამოჰყო მთელი რიგი საკითხებისა, რომელთა გამო კონფლიქტები აუცილებლად უნდა იყვნენ განხილული შემკვ-საკონფლიქტო კომისიაში როგორც ძირითად პირველად ინსტანციაში. მიუხედავად ამისა შრომის ინსპექცია და პროფკავშირები აღნიშნულ საქმეებს აგზავნიან შრომის სასამართლოში და ამით აფერხებენ სასამართლოს მუშაობას.

6. განსაკუთრებით მწვავეთ სდგას მუშაკთა უკანონო დათხოვნის საკითხი. მართალია პროცენტულათ ასეთ კატეგორიის საქმეები უმცირდა, მაგრამ დაწესებულებების თვითნებობა კიდევ გრძელდება. როდესაც სასამართლომ გაუსწორებელ დამპირავებლების წინააღმდეგ მატერიალური პასუხის მგებლობის გამოყენება დაიწყო, მაშინ აღმინისტრატორებმა მუშა-მოსამსახურების წინააღ-

დეგ ვითომდა დანაშაულისათვის, სისხლის სამართლის საქმეების აღძვრა დაიწყეს, რომლის მიზანი მატერიალური პასუხისმგებლობის აშორება იყო.

7. ის გარემოება რომ კანონმა მშრომელისათვის მისჯილ თანხების გადახდევინების მიქცევა დააწესა არა მარტო იმ საშეაღებებზე, რომელიც არის ასიგნებული ხარჯთ-აღრიცხვის სათანადო თავებით და პარაგრაფებით, არამედ იმ საშუალებებზედაც, რომელიც ასაგნებულია ყველა სხვა პარაგრაფებზე და ხარჯთ-აღრიცხვებზე, იძლევა სრულ გარანტიას იმისა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ იქნება რეალიზაცია-ქმნილი. (ამ წესით არის გადახდევინებული დორაპოფსოკის სასარგებლოდ რკინის გზათა სამმართველოდან 36.000 მანეთი, მბეჭდავთა კავშირის სასარგებლოდ 2.500 მანეთი, რკინის გზის მუშების სასარგებლოდ 6000 მანეთი და სხვა.)

შრომის ხასიათის სამოქალაქო საქმეები.

1928 წ. შრომის სასამართლოში შემოვიდა 6000-მდე საქმე. აქედან სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წინააღმდეგ იყო 48 პროც. ხოლო კერძო პირთა და ორგანიზაციების წინააღმდეგ-52პროც. მუშა-მოსამსახურეთა სარჩელები დაკმაყოფილებული იყო 70-75პროც-დე.

1929 წელს კი სამი თვის განმავლობაში შემოვიდა 1300 საქმე; თუ შევადარებთ საქმეთა მოძრაობის პროცენტულ მიმართებას გასულ წელთან შევამჩნევთ, რომ საქმეების რიცხვი თან და თან იზრდება. ისმება საკითხი რა მიზეზით არის გამოწვეული ეს ზრდა.

შეიძლება პროფორგანოები ამჯობინებენ ნაკლები წინააღმდეგობის გზით სვლას და პირდაპირ სასამართლოს მიმართავენ, ან შეიძლება თვით მშრომლებში ვითარდება საზიანო მიდრეკილება დავაქრობისადმი? უნდა ვიფიქროთ, რომ ყველას მიზეზები მოიპოვება. ამას კიდევ უნდა დაუმატოთ ჩვენი ეკონომიური გართულება და პროფკავშირების სუსტი მუშაობა ადგილებზე. ეს მტკიცდება სრულიად საკავშირო პროფ. კავშირთა საბჭოს დირექტიული წერილით.

საკონფლიქტო საქმეთა პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ არა სწორი და არა საკმარისი დაცვა მუშა-მოსამსახურეთა ინტერესებისა გამომდინარეობს იქიდან რომ პროფკავშირების დაბალ ორგანოების მუშაკები (ფაბრ. ქარხკომები. შემფ. საკონფ.კომ. მუშ. ნაწ.) არ იცნობენ შრომის კანონმდებლობას და კონფლიქტების განხილვის წესებს. ეს გარემოება ხშირათ არის მიზეზი საქმის გაჭიანურებისა და დავაქრობისა

მეტად სუსტად სჩანს შრომის პროკურატურის მონაწილეობა შრომის სასამართლოს მუშაობაში.

შრომის სასამართლოს მნიშვნელოვან დახმარებას უწევს პროფკავშირით საბჭოს იურიდიული ბიურო. მაგრამ მას არა ჰყავს საკმარისი შტატი, რომ ყველა საქმეებში მიიღოს მონაწილეობა და ამიტომ გამოდიან მხოლოდ პრინციპიალურ საქმეებზე.

ჩვენ დავსვით საკითხი იმის შესახებ, რომ მოეწყოს სპეციალური მაგიდები პროფკავშირის წევრებისათვის სასარჩლო განცხადებების შესადგენათ, მაგრამ აქამდე ეს საკითხი არ არის მოგვარებული. ამგვარად აღნიშნულ უნდა იქ-

ნეს რომ პროფკავშირების იურიდიული დახმარება არ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლათ.

შრომის ინსპექცია, რომელთანაც ჩვენ მეტათ მჭიდრო კავშირი გვაქვს ჯერ კიდევ ვერ მუშაობს სათანადო გარკვეულობით. შრომის სახალხო კომისარიატს აქამდე არა ჰყავს საკმაო კადრი კვალიფიციურ შრომის ინსპექტორებისა. ამიტომ ბევრი საქმეები, რომელიც შეიძლებოდა ადგილზე ყოფილიყვნენ გადაწყვეტილი, შემოდინ სასამართლოში და ზედ-მეტად ტვირთავენ მას. ხშირათ შრომის ინსპექტორები საქმეებს მექანიკურათ შრომის სასამართლოს გადასცემენ. თუ განცხადება შემოსულია მუშისაგან, დამოუკიდებლად იმისა თუ რა შინაარსისაა იგი ადებენ რეზოლიუციას „შრომის სასამართლო“ს.

ზოგიერთი კავშირები მხარს უჭერენ ფიქტიურ სარჩულებს (გემოკვების, სახალხო კვების და სხვ.) როდესაც კერძო დამქირავებლები საგადასახადო პრესის ზამო იძულებული ხდებიან დახურონ თავიანთი საწარმონი, ისინი აძლევენ მო, სამსახურებებს და ახლო მდგომ პირებს ხელწერილს იმისას, თითქოს მათ მოსამსახურებების ვალი დაედო.

სარჩულების აღძვრა ხშირათ იურიდიულ ბიუროსთან შეთანხმების გარეშე ხდება და ამით ანვითარებს მუშა-მოსამსახურებებში მიდრეკილებას დავაქრობისადმი.

ა მ რ ც ა ნ ე ბ ი:

1. გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ „ვოლოკიტჩიკებს“ და დავაქრობის მოყვარულთ—ასეთ პირთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემით
- 2) სასამართლოს მუშაობა ბევრათ დამოკიდებულია იმისაგან თუ როგორ მუშაობენ დაბალი პროფ. (ორგანიზაციები. ბოლო უნდა მოელოს ყოველგვარ მაჩანჩალობას (ხშირად მუშფ.საკონფ. კომისიის მუშათა ფრაქცია საკითხს ღიათ სტოვეებს მხოლოდ იმიტომ, რომ უარისთქმის პასუხისმგებლობა სასამართლოს დააკისრონ.)
- 3) საჭიროა ბოლო მოელოს სხვა და სხვა ორგანიზაცია დაწესებულებათა თვითნებობას (ადმინისტრაციაზე მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებით, ზოგიერთი პირები იმ მშრომელთა წინააღმდეგ, რომლებმაც სასამართლოში საქმე მოიგეს, სრულიად უსაფუძვლოთ აღძრავენ ხოლმე სისხლის სამართლის წესით დევნას).
4. სამეურნეო გეგმების აღსრულებასთან და შრომის ნაყოფიერების გადიდებასთან დაკავშირებით ძირითადი ამოცანაა-გამაგრდეს შრომის დისციპლინა. შრომის სასამართლომ ამ მიმართულებით მტკიცე ხაზი უნდა გაატაროს.
5. პროფორგანიზაციები უფრო მეტ სამსახურს უნდა უწევდენ მშრომელებს. საჭიროა შრომის სასამართლოსთან და პროფკავშირთა საბჭოს იურიდიულ ბიუროსთან სასარჩლო განცხადების შესადგენათ მოეწყოს სპეციალური მაგიდა. პროფკავშირები უფრო მეტად უნდა შეუკავშირდენ იურიდიულ ბიუროს და ყველა სასარჩლო მოთხოვნილებანი აღძრან ამ უკანასკნელის მეშვეობით.
6. საჭიროა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა ყველა იმ პირების, ვინც არღვევს შრომის კანონმდებლობას და იმ დამქირავებლებს, რომელ-

ნიც უკანონოთ ითხოვენ მშრომელთ დაეკისროს მატერიალური პასუხისმგებლობა.

7. უნდა გაძლიერებულ იქნეს კავშირი პროფ-ორგანიზაციებთან და შრომის კომისარიატის ორგანოებთან. კერძოთ შრომის კომისარიატმა უნდა განაზოგადოს შრომის კანონმდებლობის გამოყენება და აქედან სათანადო დასკვნები გააკეთოს.

8. გაუმჯობესებულ უნდა იქნეს შრომის ინსპექციის მუშაობა.

9. შრომის კანონმდებლობის, მისი გიგების და მისი განმარტების სირთულისა გამო—საჭიროა გაუმჯობესებული იქნეს სასამართლოს მუშაკთა კვალიფიკაცია.

10. შრომის პროკურატურამ უფრო მეტი მონაწილეობა უნდა მიიღოს შრომის სესიების მუშაობაში.

11. იუსტიციის კომისარიატი და უზენაესი სასამართლო უნდა შეუდგენ აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებას და ფართო მუშაობა აწარმოონ შრომის სასამართლოების და შრომის პროკურატურის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

12. საჭიროა პროტექციონიზმთან და სასამართლოზე გავლენის მოხდენასთან ბრძოლა.

13. ფიქტიურ სარჩლებთან გადამწყვეტი ბრძოლის წარმოება.

ი. ჯაბაშიძე.

ახალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონი.

საკავშირო კომუნისტური პარტიის ც. კ-ის ნოემბრის პლენუმის რეზოლუციაში 1928/29 წლის სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების შესახებ, სოფლის მეურნეობის განვითარების ამოცანა განსაზღვრულია, როგორც „ჩვენი ერთ-ერთი ცენტრალური ამოცანა“.

იმ კონკრეტ ღონისძიებათა შორის, რომელნიც დასახეს პარტიისა და ხელისუფლების სათანადო ორგანოებმა სოფლის მეურნეობის შემდგომი წინსვლა-განვითარების ამოცანის გადასაჭრელად მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სრულიად ს.კ. ც. ა. კ-ის და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ა/წ. 9 თებერვალს გამოცემულ დადგენილებას—ძთლანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა და საშუალო გლეხობის დაბეგვრის შემსუბუქების შესახებ.

რა არის ის ახალი და ძირითადი, რომელიც შეაქვს ხსენებულ დადგენილებას სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონმდებლობის სისტემაში?

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დირექტივის მიხედვით: „ჩვენი ქვეყნის სასურსათო და ნედლეულის ბალანსის დაჭიმული მდგომარეობა სამეურნეო გეგმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გადაუდებელ ამოცანათ ხდის იმას, რომ 1929 წელს შევძლოთ ნათესის სივრცის გაფართოება 7%-ით და მოსავლიანობის გადიდება 3%-ით“. ახალი სასოფლო-სამეურნეო კანონი

ითვალსწინებს მთელ რიგ ისეთ პირობებს, რომელნიც ქმნიან რეალურ შესაძლებლობას გლეხობის ფართო მასების მატერიალური დაინტერესების ხაზით.

ახალ სასოფლო-სამეურნეო კანონში გათვალისწინებული შეღავათები ვრცელდება ღარიბ და საშუალო გლეხობის მეურნეობებზე და გულისხმობს მარცვლეულ და ტექნიკურ კულტურის შემდგომ განვითარებას. სრულიად საკავშირო ცაკ-ის 1928 წლის 15 დეკემბრის დადგენილებაში მოსავლათაანობის გადიდების შესახებ მიუთითებს მარტოვე ხასიათის აგრიკულტურულ ზომების გამოყენებას, მესაქონლეობის დარგის განვითარებას, და ისეთ გარემოებათ, რომელნიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი სასოფლო საგადასახადო პოლიტიკასთან, როგორც სწორ კლასიური ხაზის, გატარების იარაღთან სოფლად.

I. ნათესი სივრცის გაფართოება.

1929-30 და 1930-31 წლების განმავლობაში სასოფლო სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებულ უნდა იქნენ ყველა ის ინდივიდუალური და კოლექტიური მეურნეობანი, გარდა კულაკურ მეურნეობათა, რომელნიც დასახელებულ წლებში გააფართოებენ თავიანთ ნათესის სივრცეს. მაშასადამე, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რაოდენობა უნდა დარჩეს იმდენი, რაც განსაზღვრული იყო 1928-29 წლის ნათესის სივრცის მიხედვით. საბჭოთა კავშირის იმ რაიონებში კი, სადაც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრა სწარმოებს არა ნათესის, არამედ სახნავი მიწის რაოდენობის მიხედვით უნდა მოხდეს შემოსავლის ნორმების შემცირება დესეტინა მიწაზე—უკრაინის ველმინდვრიან ოლქებისათვის 3 მანეთით, ხოლო ცენტრალურ შავნიადაგიან ოლქებისათვის 2 მანეთით გარდა ამისა საკავშირო მთავრობა ორი წლის განმავლობაში სრულიად ანთავისუფლებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან ყველა იმ ღარიბ და საშუალო გლეხებს, რომელნიც მოხნავენ დიდი ხნით დასვენებულ მიწებს მიუხედავად იმისა გადასახადის გამოანგარიშება ხდება ნათესით თუ სახნავი მიწით.

II. აგრიკულტურელი ღონისძიებანი.

ახალი სასოფლო-სამეურნეო კანონი იმ მიზნით, რათა გლეხობის ფართე მასები წააქეზოს ისეთ მარტივ და მათთვის ხელმისაწვდომ აგრიკულტურულ ღონისძიებათა გამოყენებისათვის, როგორცაა მაგ; თესლის წმენდა, მწკრივად თესვა და სხ. აწესებს შემდეგ შეღავათებს: გადასახადის 10%-ის დაკლება სადგილ-მამულო საზოგადოების ყველა მეურნისათვის და 5%-ის კი ცალკე მეურნეთათვის, რომელნიც განახორციელებენ დასახელებულ ღონისძიებათა საშუალებით მოსავლიანობის გადიდებას.

ახალი სასოფლო-სამეურნეო კანონის ამ ორ პუნქტს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან გლეხობას ის აძლევს აშკარა მატერიალური დაინტერესების სტიმულს, მარცვლეულის მეურნეობის კულტურის ნათესის სივრცისა და მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

უდავოა ის, რომ საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობას უკანასკნელი წლების განმავლობაში კოლოსალური მიღწევები გააჩნია: ნათესის სივრცის ზრდა; ტექნიკურ კულტურითა გავრცელება, საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობათა რიცხვობრივ—თვისობრივი ზრდა, სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია და

სხვა მთელი რიგი მომენტების, რომელნიც ნოემბრის პლენუმზე აღინიშნა, როგორ სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქტიულობის ნიშნები. მაგრამ მიუხედავად ამისა საკავშირო მთავრობა და დეგენილების შესავალში ახალ სასოფლო-სამეურნეო კანონის შესახებ აღნიშნავს: „ეს წარმატება საკმაოდ არ არის იმისათვის, რომ დაკმაყოფილებულ იქნან ქალაქისა და სოფლის სწრაფად გაზრდილი მოთხოვნილებანი სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე. მარცვლელის ნათესების არა საკმაოდ ზრდა მეტად მცირე მოსავლიანობის ზრდასთან ერთად აფერხებს მოსახლეობისათვის პურის მიწოდების საქმეს, ხოლო პურის გატანა საზღვარგარეთ სავსებით შეწყდა“. თუ შედეგობაში მივიღებთ იმ გარემოებს, რომ მომავალ ხუთი წლის განმავლობაში მოსავლიანობის პროდუქცია უნდა გაიზარდოს 350/ით, მაშინ ნათელია კანონის ზემოთ მოყვანილ პუნქტების როლი და ღირებულება.

III. ტექნიკური კულტურა.

ტექნიკურ კულტურათა ნათესის სივრცე ამ უამარ 58,50/ით აღენატება ომის წინა დროინდელ დონეს. ს. კ. ვ. (ბ) ც. კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას და მიუთითა რომ მიუხედავად ზრდის ტექნიკური კულტურები სრულიად უმნიშვნელო როლს თამაშობენ მთელ გლეხურ მეურნეობაში, ხოლო მრეწველობის დაკმაყოფილების მხრივ ისინი კვლავ ძლიერ დეფიციტური არიან, რაიც აყენებს ტექნიკური კულტურების შემდგომი გაძლიერების ამოცანას“. აქედან ცხადია კანონის პრინციპი, რომელიც სავსებით ანთავისუფლებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან შემოსავალს, რომელიც მიღებული იქნება ახალი კულტურების, ან ახალი გაუქმობებსებული მეთოდით დამუშავებული საკვლე შიშების ნაკვეთებისაგან ნაწევარი დესტინა მიწის რაოდენობით. ამასთან ერთად ახალი სასოფლო სამეურნეო კანონით შენარჩუნებულ უნდა იქნეს შეღავათები, რომელიც დაწესებულია ტექნიკური კულტურებისათვის „შემოსავლიანობის იმ ნორმებით, რომლებიც ერთი ორათ შემცირებულია მარცვლელ კულტურებთან შედარებით“. (ბაბა, სელი, ჭარხალი და სხვ.).

IV. მესაქონლეობის დარგი.

მესაქონლეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს. უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია რომ მესაქონლეობაში აღგილი აქვს ზრდის ტემპის შენელებას. ახალ სასოფლო-სამეურნეო კანონის მიხედვით მერძეობისა და ტექნიკური კულტურების წასახალისებლად ერთი ორად მცირდება ძროხების შემოსავლიანობის ნორმები კარაქის დამამზადებელ რაიონებისათვის. ამავე რაიონებში შემცირებულ უნდა იქნეს სათიბის და დაწახით დათესილ სიჩრცების შემოსავლიანობის ნორმა.

ამ ძირითად შეღავათების გარდა ახალი სასოფლო-სამეურნეო კანონი ეხება აგრეთვე მრავალ წევროვან გლეხურ მეურნეობათა დაქუცმაცების წინააღმდეგ ზომებს, რომელსაც შეუძლია სოფლის საწარმოო ძალთა შემცირების ტენდენციის გამოწვევა (ნოემბრის პლენუმი). ახალი კანონი აქ აყენებს შეღავათებს შემდეგი სახით: იმ მეურნეს, რომლის მკაველთა რიცხვი არის 7—8 კაცი სასოფ-

ლო-სამეურნეო გადასახადი უნდა შეუმცირდეს 5%-ით, 9—10%-მდე 10%-ით, მეტი კი 15%-ით. და ბოლოს კანონის უკანასკნელი მუხლი სასტიკად კრძალავს „ინდივიდუალური დაბეგვრის შესახებ არსებული კანონის გაფართოებულ გამოყენებას“, როდესაც ასეთი წესით საშუალო გლეხობის დაბეგვრა ხდება, ჩვენ ვიცით, რომ ამ მიმართულებით ბევრ დამახინჯებას ჰქონდა ადგილი. ახალი სასოფლო-სამეურნეო კანონი გარკვევით მიუთითებს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს რათა არ იქნეს განმეორებულ წასული მეცდომები. რაც შეეხება ინდივიდუალური წესით დაბეგვრილ კულაკურ მეურნეობათა რიცხვს ის არ უნდა აღემატებოდეს გლეხურ მეურნეობათა საერთო რიცხვის 3%-ს როგორც ვხედავთ ახალი სასოფლო-სამეურნეო კანონში აღნიშნული შეღავათები უშუალოდ გამომდინარეობენ კომ. პარ. ცეკ. უკანასკნელი პლენუმის გადაწყვეტილებებიდან სოფლის მეურნეობის მომავალი განვითარების გზების შესახებ. სახელმწიფო ბიუჯეტით 1928-29 წელს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გადადებულია 600 მილიონი მანეთი, ე. ი. ორჯერ მეტი გასულ წელთან და ამავე დროს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემცირება იმ შეღავათების სახით, რომელზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი უდრის 55 მილიონ მანეთს. ახალი სასოფლო-სამეურნეო კანონის ცხოვრებაში გატარების დროს მხედველობიდან არ უნდა იქნეს გაშვებული ის გარემოებობა, რომ ახალი კანონიც ისევე, როგორც წარსულში ჩვენი სასოფლო-საგადასახადო პოლიტიკა უნდა იყოს კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ მიმართული და სოციალისტური პოზიციების განსამტკიცებელი საშუალება სოფლად. არც ერთი შეღავათი ახალი სასოფლო სამეურნეო კანონის არ უნდა იქნეს განხორციელებული კულაკურ ექსპლოატაციულ მეურნეობებზე, რომლის ცდები შესაძლებელია იქნეს ხელისუფლების ორგანოთა ცალკე მუშაკების საქმიანობაში, განსაკუთრებით კი დღეს, როდესაც პარტიის რიგებში მემარჯვენე გადახრის საშიშროება რეალურ ამაზვად გარდაიქცა.

ამიტომ, ჩვენს წინაშე შემდეგი გადაუდელი ამოცანები უნდა იქნეს დასმული: ა) არ უნდა დარჩეს არც ერთი გლეხის მეურნეობა მიმდინარე გაზაფხულის თესვის კამპანიასთან დაკავშირებით, რომელსაც არ ეცოდინება კანონის არსებობა და მის მიერ დაწესებული შეღავათები (ამ მხრივ ჩვენში ძალიან ცოტაა გაკეთებული), უნდა მოხდეს ფართე პოპულიარიზაცია ახალ სასოფლო-სამეურნეო კანონის და მასთან დაკავშირებულ პარტიისა და ხელისუფლების გადაწყვეტილებების, ბ) იუსტიციის ორგანოებმა და განსაკუთრებით კი პროკურატურის სამაზრო განყოფილებებმა სასტიკი თვალყური უნდა ადევნონ ახალ სასოფლო სამეურნეო კანონის სწორ გატარებას, ცენტრალურ ხელისუფლების სათანადო დირექტივების საფუძველზე

სახალხო გამომძიებლების დარაიონების შესახებ*)

საბჭოთა აღმშენებლობის წარმატებით განვითარებისათვის რევოლუციონური კანონიერების დაცვას და განმტკიცებას უარესი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ თუ საბჭოთა აღმშენებლობის ყველა დარგში მასასთან დაახლოვება ტარდება გაცხოველებული ტემპით, მეტად დროული და აუცილებელია სასამართლოს მუშაობაც არ ჩამორჩეს საერთო ხაზს. მაგრამ ჯერ ამ მხრივ სასამართლოს ერთ დარგში—სახელდობრ საგამომძიებლო—არ არის საესებით გატარებული ზემოაღნიშნული ხაზი. იმ დროს როდესაც ქ. ტფილისში სახალხო სასამართლოები დაყოფილია უზნებათ, მოთავსებული არიან თავ თავის რაიონებში, საგამომძიებლო უზნებია შეჯგუფებული არიან და მოთავსებულია ერთ შენობაში, —იუსტიციის სახ. კომისარიატში. დღემდე ამ საქმის მოწესრიგებას ბევრი რამ ელოებოდა წინ. უმთავრესათ კი ხელს უშლიდა ის გარემოება რომ 10 საგანომძიებლო უზნების მოთავსება თავ თავის რაიონებში შეუძლებელი იყო სათანადო ბანების უქონლობის გამო და გარდა ამისა, ეს გამოიწვევდა აგრეთვე შტატის გადიდებას, როგორც მაგ. ცალკე საქმის—მწარმოებელი, მემანქანე დამლაგებელი, და გზირი, და სხვა, რომელთა შენახვაც დიდ ხარჯებს მოითხოვდა.

მაგრამ მის შემდეგ რაც ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაამტკიცა მილიციის ახალი დარაიონების გეგმა, სრულებით უმტკივნეულოდ და შტატების გაუდიდებლად შესაძლებელი იქნება საგამომძიებლო უზნების დარაიონებაც, რადგან ახალი გეგმის მიხედვით თითოეული სამილიციო რაიონი შესძლებს გამოყოფას განთავსებული ბინის სივრციდან გამომძიებლის კამერისათვის ოთახი.

გარდა საერთო სახელმწიფო მოსახრებისა აპარატის მასასთან დაახლოვების მიზნით, გამომძიებლების დარაიონება მიზანშეწონილი და აუცილებელია შემდეგი მოსახრებით:

1. თვითუფლები ქალაქის უბანს აქვს თავისი ზნე-ჩვეულება და თავისებურება, რომელიც თავს იჩენს ხოლმე ცალკე ბოროტმოქმედებაში, წესრიგის დარღვევაში და სხვა. ექვს გარეშეა, რომ ბოროტმოქმედების გარკვევაში, სწორ მიმართულების მიცემაში ამ გარემოებას მნიშვნელობა აქვს და როდესაც საგამომძიებელს თავის კამერა თავისივე რაიონში ექნება, ის უფრო კარგათ შეისწავლის ყოველივე მას რაც მის საგამომძიებლო ფარგლებში ხდება.

2. ბოროტმოქმედების გამოაშკარავებისათვის უმთავრეს შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, თუ როდის შესძლებს საგამომძიებელი შეუდგეს საგამომძიებლს. დავიანებული საგამომძიებლო მოქმედება, ე. ი. ადგილობრივი დათვლიერება, ჩხრეკა, დაკითხვა და სხვა, ბევრჯერ ისეთ მდგომარეობაში აყენებს საქმეს, რომ ბოროტმოქმედის გამოაშკარავება შეუძლებელი ხდება, მიუხედავად იმისა რომ შეიძლება საგამომძიებელი მეტად გამოცდილი და დახელოვნი-

ბული იყოს. ამ მხრივაც ნათლად სჩანს საგამომძიებლო კამერის თავის რაიონში არსებობის უპირატესობა ვიდრე ცენტრში მოთავსება.

3. გამოძიების დროს გამომძიებელს ხშირად უხდება ცალკე დავალების მიცემა მილიციისათვის. უკანასკნელის, გამომძიებლის დავალების დროზე და პირნათლად შესრულებას აქვს დიდი მიწერ-მოწერის გამართვა, ტელეფონით შეკითხვა, წერილობით მოგონება და დაჩქარება, რომელიც ბევრ დროს და ქალაქის არა რაციონალურ განაწილებას იწვევს და რაც უმთავრესი და აღსანიშნავია ამ მხრივ, ეს ისაა რომ წერილობით დავალებას, თუ კი ამასთანავე არ არის მჭიდრო ცოცხალი კავშირი და მუდმივი ხელმძღვანელობა მილიციის თანამშრომლისადმი, არ მოაქვს დიდი ნაყოფი და შედეგი. ამ მხრივაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება გამომძიებლის თავის რაიონში ყოფნას. ვარდა ამისა ხშირად გამომძიებელს სჭირდება რომ მის განკარგულებაში იყოს მილიციის თანამშრომელი. ცენტრიდან, ამ შემთხვევაში, შეიძლება დაუსრულებელი ტელეფონით საუბარი, და იშვიათ შემთხვევაში გამომძიებელი მიიღებს მილიციელს და ისიც როდესაც საქმეში ჩაერევა, პროკურორი და თუ თავისუფალი თანამშრომელი მაღლიციაში არ მოიპოვება, არც ეს უშველის საქმეს. ადგილზე კი ე. ი. რაიონში გამომძიებელს ყოველთვის ექნება საშუალება მოთხოვნილებისთანავე მიიღოს თავის განკარგულებაში მილიციის თანამშრომელი.

4. გამომძიებელს ხშირად აქვს საქმე თავ-აწყვეტილ, წესრიგის დამრღვევ მოქალაქესთან, რომელნიც დაკითხვის დროსაც იჩენენ ხელისუფლების უპატივცემლობას და ყვირილით უმასპინძლდება გამომძიებელს, და როცა მათი ყოფა ქცევა საზღვარს გადალახავს, გამომძიებელი ამ შემთხვევაში სრულებით შებოროკილი და დაუცველია.

5. მოწმეების და სხვა პირების გამოძახებისათვის, გამომძიებელი სწერს ხოლმე უწყებებს 2 ცალათ, და ისევე შეიქნება მიწერ-მოწერა მილიციასთან რომელმაც მეორე ცალი უწყებისა უნდა დააბრუნოს გამომძიებელთან.

ამ წესის გამარტივება სავესებით შესაძლებელი იქნება, როდესაც გამომძიებლის კამერა იქნება სამილიციო რაიონში. მას შეუძლია იქვე გადასცეს სია რომლის მიხედვით მილიციის მიერ გამოწვეული იქნებიან საჭირო პირები.

6. ყოველ მოქალაქესათვის უფრო ხელსაყრელი და ახლო იქნება გამოცხადდეს თავის რაიონში გამომძიებელთან, ვიდრე მივიდეს შორეული და განაპირა უბნიდან ცენტრში. ექვს გარეშეა რომ ნაძალადევის მცხოვრებლებისათვის უფრო ადვილი იქნება თავის რაიონში მისვლა ვიდრე იუსტიციის კომისარიატის შენობაში სადაც მოთავსებულია გამ.რ.მ. კამერა.

7. მოკლევით ორგანოებს, ე. ი. მილიცია და სხვას, ზედამხედველობას უწევს პროკურატურა, რომელიც იმდენათ მკირერობისათვისა და დატვირთულია მრავალი სხვა და სხვა მოვალეობით, რომ ზედამხედველობას მილიციაზე სათანადოთ ვერ ახორციელებს, რასაც მნიშვნელობა აქვს და დიდათ ეტყობა მილიციის მუშაობას. ასეთ დაღ ქალაქში როგორც არის ტფილისი სულ არის ორი უბნის პროკურორი და ცხადია რომ მათი ზედამხედველობა ვერ გასწვდება ყველას.

ამ უამად იუსტიციას სახალხო კომისარიატის მიერ მუშავდება ახალი სისხლ. სამართლის საპროცესო კოდექსი მისი გამარტივების საფუძველზე. პროექტით, ნაცვლად პროკურატურის, ზედამხედველობა მომკვლევ ორგანოებზე გადადის იმ გამოძიებელზე რომლის უბანში არის ესა თუ ის მოკვლევი ორგანო.

სწორეთ ამისათვის გამოძიებლების დარაიონებას ექნება უდაო და უდიდესი მნიშვნელობა. ამ აზრის უფრო გასაგებათ და გამარტივებისათვის აქ უნდა ხაზი გაესვას მეტად მნიშვნელოვან გარემოებას. არც ერთი დაწესებულებების მუშაობა იმდენათ დაკავშირებული და გადაკვანძული არ არის საგამომძიებლო და სასამართლოს საქმესთან როგორც მილიციის მუშაობა. რაც არ უნდა მოხდეს, ქურდობა იქნება ეს, მკვლელობა, მტაცებლობა, გაძარცვა თუ სხვა ბოროტმოქმედება, ვიდრე საქმე გამოძიებელიან ან სასამართლომდის მიაღწევს, უპირველეს ყოვლისა, დაზარალებული ბოროტმოქმედებით მიაშურებს მილიციას ან და თვით მილიცია ჩაერევა საქმეში. ბევრია ისეთი საქმეები სახელდობრ ისეთი დანაშაულის გამო, რისთვისაც სოციალური დაცვის ღონისძიება არ განისაზღვრება ერთ წელზე მეტი. ასეთ საქმეებზე მილიცია უშუალოდ აწარმოებს კვლევა—ძიებას და უშუალოდ წარმართავს სახალხო სასამართლოში. მაგრამ თუ კი სასჯელი განსაზღვრული ვადას აღემატება, ან და საქმე რთული და მძიმე ბრალდების ხასიათის არის, ასეთი გადაცემა მილიციის მიერ გამოძიებელს რომელსაც პირველ შემთხვევაში შეუძლიან მხოლოდ დააპტიციოს მილიციის მოკვლევა, ე. ი. მისცეს თავისი დასტური, და შექმდეს საქმე გადაზავნოს ქვემდებარეობისათვის, მეორე შემთხვევაში კი გამოძიებელს, თუ კი იგი სცნობს, რომ მილიციის მიერ საქმე საკმაოდ გამორკვეული არის და მასალა სრულია, მას შეუძლია წინასწარი გამოძიება არ მოახდინოს და დაკმაყოფილდეს, მხოლოდ ცალკე საგამომძიებლო მოქმედებით. აქედან ცხადია თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მილიციის მოკვლევის მოხდენის და სხვა და სხვა ბოროტმოქმედების გამოაშკარავების დროს, მაგრამ ასეთი საპასუხისმგებლო დავალების შესრულებისათვის საჭიროა მილიციის თანამშრომელი ამისათვის საკმარისათ მომზადებულდა განვითარებული იყოს, და მეორეს მხრივ მას უნდა ყავდეს მუდმივი ზედა, მხედველი და ხელმძღვანელი. ასეთი, ახალი კანონის პროექტით, უნდა იყოს საგამომძიებელი და თუ საგამომძიებელი ისევე დაშორებული იქნება მილიციიდან, როგორც ეს არის ეხლა, მაშინ ამაოა მილიციის მუშაობის გაუმჯობესება. მიწერ მოწერით, ცოცხალი კავშირის გარეშე ზედამხედველობა—ხელმძღვანელობა. ხშირად გვესმის რომ საქმეები სასამართლოებში ჭიანჭურდებიან დროზე არ ირჩევიან და გარჩევის დროს უკვე კარგავენ თავის მნიშვნელობას. ერთ-ერთ მიზეზად ამისა უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მომკვლევ ორგანოს არ ჰყავს ეხლა ზედამხედველი, რომელიც დაუყონებლივ მიცემს მითითებებს თუ ვინ და როგორ დაკითხოს, რა საკითხები უნდა გამოიკვდეს, რა უნდა მოიმოქმედოს და სხვა, რომლისაგანაც დამოკიდებულია საქმისადმი სწორი მიმართულების მიცემა. ხშირად მილიციის მიერ მოხდენილი მოკვლევას აქვს დიდი ნაკლი. ამის გამოსწორება ხან და ხან უკვე შეუძლებელია, რადგან გასულია საკმაო დრო, ხან კი მოკვლევა უბრუნდება მილიციას შესავსებლად და აქ წერი-

ლობით ეძლევა მითითებანი, ასეთი მდგომარეობა რასაკვირველია ხელს უწყობს საქმის გაჭინურებას და დამნაშავე პირის გამომჟღავნების შეფერხებას.

ახალი კანონის მიხედვით მომკვლევ ორგანოებმა საქმე მოსასპობათ უნდა გადასცენ არა პროკურორს, არამედ გამომძიებელს. ასეთი საქმეები აუარებელია. ამ მხრივთაც გამომძიებელის ყოფნა მილიციის რაიონში ბევრად გაადვილებს და გააუზოგბებს საქმის მსვლელობას. ჯერ იმ მხრივ რომ მასალები იქვე გადაეცემა გამომძიებელს მიმართვის გარეშე, მეორე ის რომ, ბევრათ შემცირდება მოსასპობი საქმეები, დასამალავი არ არის ის გარემოება რომ ზოგჯერ საქმე ისპობა არა იმიტომ რომ დამნაშავე პირი არ აღმოჩნდა, არამედ იმიტომ რომ მოკვლევას აწარმოებს გამოუცდელი პიროვნება.

8. ახალი კანონის მიხედვით პროკურატურის კომპეტენციაში რჩება მხოლოდ საერთო ზედამხედველობა. უშუალოდ კი, როგორც ზევით აღვნიშნოთ, გადადის გამომძიებელზე და რაც აღსანიშნავია და ლოლიკური შედეგია ამისა, ეს ის რომ საჩივრები მომკვლევ ორგანოებზე უნდა შეტანილ იქნეს გამომძიებელთან. ა გამომძიებელის ყოფნა თავის რაიონში მეტად საჭიროა და მიზანმიზანშეწონილი. მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს ის გარემოება რომ დღეს მილიციაზე საჩივარის გამო მოქალაქე უნდა გამოცხადდეს ცენტრში. რასაც ყველა ვერ იზამს სხვა და სხვა მოსაზრების გამო. მეორე მხრივ თვით საჩივრის მიმღები პირი მაშინვე ვერასფერს ვერ მოიმოქმედებს, ვიდრე არ მოისმენ მილიციის განმარტებას და გადათვალთვლებს მილიციის მიერ ნაწარმოებს მასალას. ამასაც ბევრი დრო უნდება. საჭიროა გამოწვევა მილიციის თანამშრომელისა, მისი მოცილება სამსახურიდან, დაყოვნება და ბევრი სხვა რამ, რაც თან სდევს ასეთ შემთხვევებს და მოქალაქე კი დროზე პასუხს ვერ იღებს თავის საჩივარზე. ადგილობრივ კი გამომძიებელს ჩქარა და იქვე შესაძლებლობა ექნება საქმის გამორკვევისა.

9. უშუალო და მჭიდრო ხელმძღვანელობა გამომძიებლისა მილიციის თანამშრომლებს მეტად ნაყოფიერ შედეგს მოიტანს კიდევ იმ მხრივ, რომ გამომძიებლები, როგორც უფრო განვითარებულნი და მომზადებულნი დადებით გავლენას მოახდენენ და წაახალისებენ თანამშრომლებს კანონიერების შეგნება—განხორციელების საქმეში.

10. და, ბოლოს კი, უნდა აღინიშნოს, რომ მილიციის თანამშრომელი მუდმივ და ცოცხალ ზედამხედველს და ხელმძღვანელის გავლენით იგრძნობს მეტ პასუხისმგებლობას თავის მოვალეობის პირნათლად ასრულების დროს.

დანაშაულებათა შესწავლისათვის*)

ყოფა ცხოვრების გარდაქმნისათვის ბრძოლის დროს, ახალ სოციალისტურ საზოგადოებაში გარდამავალ მომენტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი სასამართლოს ორგანოებს ეკისრება, იმის გამო, რომ სოციალისტური ელემენტების ზრდის პროცესში ჩვენ ვხვდებით ჩამორჩენილ ფენებს, რომელნიც ძველს უბრუნდებიან და ნაკლები წინააღმდეგობის გზით სვლას ამჯობნიებენ.

ყოფა ცხოვრების ძველი პირობების შეცვლისა და კულტურულ რევოლუციისათვის ბრძოლის საქმეში ესენი განსაკუთრებით საშიშ ხასიათს იღებს (ამ ფენის წყალობით ჩვენ ხშირათ ვხედავთ დრო მოკმულ ყოფა—ცხოვრების მოვლენათა აღორძინებას მეტის მეტათ მწვავე ფორმებში). საბჭოთა კანონმდებლობა უარჰყოფს რევოლუციამდე არსებულ სასამართლოს შეთოდებს ახალ ცხოვრებისათვის ბრძოლის დროს. ძირეულად სხვა შეხედულებისაა დანაშაულებრივობაზე და დანაშაულზე და მიუთითებს საზოგადოებრივ გაკიცხვას, როგორც სასჯელ ღონისძიებას. სცვლის საპატიმროებს აღმზრდელ დაწესებულებათ და სხვ.

დანაშაულება არ შეიძლება განხილული იყვეს ჩვენი სოციალურ ეკონომიური პირობების გარეშე. შემცდარი იქნებოდა მტკიცება იმისა, რომ დამნაშავე „ბოროტი ნების“ მატარებელია და რომ დანაშაულებრივი მოვლენები, კოსმიურ და მეტაფიზიკურ ფაქტორთა შედეგია და დამნაშავეს პიროვნებაში—საქციელში არა ვხედავდეთ იმ საზოგადოებრივი წრის პროდუქტს, რომელშიაც დამნაშავე ტრიალებდა და იმ პირობების გავლენას, რომელშიაც იყო ჩაყენებული მისი ინდივიდუალური განვითარება.

აქედან ბუნებრივია, საბჭოთა ხელისუფლება იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ სასჯელი არის არა სამაგიეროს გადახდის არამედ სოციალური დაცვისაშვალება, რადგან დამნაშავე არის არა ხელის შემწყობ პირობათა და აგრეთვე თავის ფსიქიური ნაკლულოვანების მსხვერპლი.

ჩვენი ქვეყნის ყველა თავისებურების აღრიცხვისას საბჭოთა ხელისუფლება მკაცრად სჯის იმ პირებს ვინც ხელს უშლიან პროლეტარულ დიქტატურის ზრდას და კონტრევოლუციონურ მოღვაწეობას ეწევიან. ამ კატეგორიის პირთა მიმართ აღმზრდელ ღონისძიებათა გამოყენებას რა თქმა აქვს ადგილი, მაგრამ იმათ, ვინც ბოროტმოქმედებით არყვეს სახელმწიფოს ძლიერებას, ცხადია ხელისუფლება თავზე ხელს ვერ მოუსვამს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჩამორჩენილი ფენა ხშირათ უბრუნდებოდა დრომოკმულ ყოფაცხოვრების პირობებს და ზოგჯერ ჩვენ მოწამე ვხვდებით მისი აღორძინებისა. თუ ყოველდღიურ ცხოვრებას დაუკვირდებით შევამჩნევთ, რომ განსაკუთრებით საშიშ გავლენას ახდენს ეს ფენა ახალგაზრდობაზე—ხულიგნობის ნიშნები სქესობრივი დანაშაულებანი და ყველა აქედან გამომდინარე ფსიქიური დავადებანი სხვადასხვა დანაშაულებრივი ნიშნებით.

*) წინადადების სახით.

ჩვენმა საკანონმდებლო ორგანოებმა და აგრეთვე კულტურულ-განმანათლებელმა ორგანიზაციებმა აუცილებლათ უნდა შეისწავლონ ის, თუ რა უწყობს ხელს ამა თუ იმ დანაშაულების გავრცელებს და ამით მიიღონ ზომები ამ დანაშაულებათა აღმოსაფხვრელათ.

ბოროტმომქმედთა კრელ მასსაში არის სულით ავადმყოფნიც, ფსიქოპათებიც, ქკუა სუსტნიც და მეტად არახელსაყრელ გარეშე პირობების მსხვერპლნიც. ხშირად სასამართლოს სჭირდება სწორი ექსპერტიზა, რომელნიც უპასუხებს არა მარტო იმ საკიოხზე, არის თუ არა ესა თუ ის ბოროტმომქმედი სულით ავადმყოფი, არამედ გამოარკვევს მის სოციალურ საშიშროების ნიშნებს და გაითვალისწინებს მის ფიზიოლოგიურ თავისებურობებს.

საექიმო ექსპერტიზის თანამედროვე პირობებში ძალიან ძნელია ბოროტმომქმედების პიროვნების დეტალური გაცნობა, მით უმეტეს როდესაც საქმე გვაქვს სხვადასხვა გეოგრაფიულ, ეტნოგრაფიულ დასახ. თავისებურ პირობებშითან.

საჭიროა ექსპერტიზა გახდეს სასამართლო ორგანოების ყველაზე ახლობელ თანამშრომლათ, საჭიროა აგრეთვე რომ ექიმებმა და ფსიქოლოგებმა კონტაქტური მეცნიერული მუშაობა აწარმოონ საგამომძიებლო ორგანოებთან, ებრძოლონ დანაშაულებრივობას და იმ პირობებს, რომელნიც ადამიანს დანაშაულის გზაზე აყენებენ.

პირველი დაწესებულება, რომელმაც დაისახა მიზნათ ბოროტმომქმედის შესწავლა არის „კრიმინოლოგიური ინსტიტუტი“, რომელიც დაარსდა ბუენოს-აირესის ციხესთან (1907). ამ ინსტიტუტს აქვს სამი სექცია:

პირველი სისხლის სამართლის ეტიოლოგიის, ე. ი. დანაშაულების მიზეზების შესწავლისა

მეორე სექცია ატარებს კრიმინალოგიურ კლინიკის სახელწოდებას. აქ ტარდება ბოროტმომქმედთა გამოკვლევა ხარისხისა და მათი სოციალური წრესთან შეფუების თვალსაზრისით.

მესამე სექცია—კრიმინალურ-ტერაპევტიული სწავლობს დანაშაულის რეპრესიის და პროფილაქტიკის სოციალურ და ინდივიდუალურ ზომებს.

ინსტიტუტის მიერ სამხრეთ ამერიკაში მოწყობილია კრიმინოლოგიური მუზეუმი და ბიბლიოთეკა.

ბუენოს-აირესის ლაბორატორიის გახსნის შემდეგ იმავე წელს გაიხსნა ლაბორატორია ბრიუსელში ჯერ ციხესთან მინიმეს და შემდეგ ციხესთან Forest.

ამ ლაბორატორიების მაგალითით, ჯერ ამერიკაში და შემდეგ ევროპაში დაარსდა ასეთივე ლაბორატორიები.

პროფ. კრახანუშკინი, ამჟამად არსებულ ლაბორატორიებს ოთხ ჯგუფად ჰყოფს,

1. სასამართლოებთან არსებული ფსიქოპათოლოგიური ლაბორატორიები, რომელნიც მიზნათ ისახევენ დასვან ფსიქოლოგიური დიაგნოზი ბოროტმომქმედის პიროვნებისა. ასეთი ლაბორატორიები უკვე არსებობს მთელ რიგ ქალაქებში (ბოსტონში, ჩიგაკოში, ნიუ-იორკში, ფილადელფიაში, ბალტიმორში და სხვ.).

2. საპატიმროებთან არსებული ფსიქოლოგიური ლაბორატორიები, რომელნიც გაცილებით უფრო მეტათ არიან გავრცელებულნი ვიდრე სასამართლოებთან არსებული ლაბორატორიები.

3. მოძრავი ლაბორატორიები, რომელნიც საპატიმროებში ინიშნებიან, რომელთაც თავისი ლაბორატორიები არა აქვთ.

4. განმანაწილებელი საპატიმრო სინგ-სინგი ნიუ-იორკში, რომლის სათავეში სდგას ფსიქიატრი ბერნარდ გიუჯი. ამ საპატიმროს აქვს მთელი რიგი ლაბორატორიებისა სხვადასხვა სპეციალობის მიხედვით. ეს ლაბორატორიებანაწილებენ ბოროტმოქმედებს სხვადასხვა ტიპის საპატიმროებს შორის, რომელნიც თავისი პენიტენციარული აპარატით სრულიად შეეფერება გადაზავნილ ბოროტმოქმედის ფსიქოფიზიკურ ტიპს.

ს. ს. რ. კ. უცხოეთის გავლენისაგან დამოუკიდებლად 1923 წ. მოსკოვის საბჭოს ადმინ. განყ. მაშინდელ უფროსის ანხ. ორლენსკის ინიციატივით, დაარსებულ იქნა მოსკოვის ბოროტმოქმედ პიროვნების შესწავლი კაბინეტი. ამ კაბინეტში, როგორც მისი აუცილებელი წევრები, შევიდნენ ფსიქიატრები, სოციოლოგები და ანტოპოლოგები.

პირველ ხანებში კაბინეტი კმაყოფილდებოდა მხოლოდ ამბულატორიულ გამოკვლევით, მაგრამ იმის გამო, რომ დამნაშავეს დეტალური შესწავლა უფრო ღრმა და მუდმივ გამოკვლევას საჭიროებს, ამიტომ დაარსებული იქნა სპეციალური კლინიკა,

თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ წამოწყებას, ყველასათვის, განსაკუთრებით კი საგამომძიებლო ორგანოებისათვის ცხადი უნდა იყოს.

პროფ. კრასნუშკინი ამბობს: თუ საფრანგეთის რევოლიუციამ სულით ავადმყოფს ჯაჭვები ჩამოხსნა, ოქტომბრის დიდი რევოლიუცია ამ ჯაჭვებს დამნაშავესაც ჩამოაცლისო.

სწორედ ამ გზაზე გვაყენებს დამნაშავეს პიროვნების შესწავლა, რომელნიც ისევე, როგორც სულით ავადმყოფის პიროვნების შესწავლა, მოგვცემს საშუალებას წინასწარ გამოვიცნოთ სამართალ დამრღვევის მოქმედება და სხვა გარემოებაში სოციალური ცხოვრებისათვის გამოსადეგი გავხადოთ, ან მედიცინის გამოთქმა რომ ვიხმაროთ—გაკუწროთ იგი ანტი-სოციალურ მიდრეკილებებისაგან.

მოსკოვის კლინიკის მასალები დიდ დახმარებას გაუწევენ ადგილობრივ მუშაკებს, მაგრამ, რა თქმა უნდა, რომ ამ მასალის გამოყენება შეიძლება მხოლოდ როგორც გამოცდილების და არა სახელმძღვანელოთ, იმიტომ რომ საქართველოს პირობებში ჩვენ გვაქვს სულ სხვა ყოფა-ცხოვრების და გარემოებათა თავისებურებანი.

ყველა ზემოთქმულთან დაკავშირებით მეტად მიზანშეწონილი იქნებოდა, ტფილისის ჯანმრთელობის განყოფილებასთან გამოცდილ ექიმების და საგამომძიებლო ორგანოების ხელმძღვანელობით დაარსდეს ლაბორატორია, რომელიც მთავარ ამოცანათ დაისახავს დამნაშავეს პიროვნების ყოველმხრივ შესწავლას—როგორც საერთო-ბიოლოგიურ აგრეთვე სოციალ-ეკონომიური თვალსაზრისით. ჩაატაროს დამნაშავეთა მასიური გამოკვლევები, შეისწავლოს დანაშაულების კერები, განაპირა ადგილები და აწარმოოს დამნაშავეს პიროვნების კლინიკური შესწავლა.

საპატიმრო ადგილების ზედამხედველთა შესახებ.

სისხ. სამართლის პოლიტიკის პრინციპების და რეგოლაციონური კანონიერების განსახორციელებლად ჩვენში მოქმედებს მთელი რიგი ორგანოებისა, (პროკურატურა, მილიცია, სასამართლო საგამომძიებლო ორგანოები და სხვა). რომლებიც ემსახურებიან საზოგადოების უშიშროების და სახელმწიფო ქონების დაცვის საქმეს.

მაგრამ ერთი საქმეა ბოროტ-მოქმედების გამოაშკარავება, მისი გახსნა, აღმოჩენა და დამნაშავეის დაპატიმრებით პასუხისგებაში გადაცემა, და სულ სხვაა, როდესაც სხვადასხვა რჯულის ბოროტ-მოქმედნი ერთ ჭერ ქვეშაა მოთავსებული, და მათი ხასიათის, თვისების და ჩვეულების შესწავლას ვაწარმოებთ ისე რომ თითოეულზე მიზან შეწონილი ზედმოქმედება იყოს.

სისხ. სამართლის კოდექსის მე-7-დე მუხ. მე-2-რე ნაწ. მითითებულია: „სოციალური დაცვის ღონისძიებას მიზნათ არ უნდა ქონდეს ფიზიკური ტანჯვა ან ადამიანის ღირსების დამცირება და მიზნათ არ უნდა ისახავდეს საწავიეროს გადახდას და დასჯას“-ო.

რას გვეუბნება შ. გ. კოდექსი, რომელიც გამოცემულია ს. ს. კოდექსის საფუძველზე? შრომა-გასწორების დაწესებულება უნდა ისწრაფოდეს მიზან შეწონილად იმოქმედოს პატიმრებზე და განამტკიცოს მათი ხასიათის ის თვისება და ჩვეულება, რამაც შეიძლება თავი შეაკავებინოს შემდეგში დანაშაულის ჩადენისაგან; მის მიზანს არ უნდა შეადგენდეს პატიმრისათვის ფიზიკური ტანჯვის მიყენება და პატიმრის ადამიანური ღირსების დამცირება (შრ. გ. კ. ნ მუხ.).

აქედან ცხადია, რომ საპატიმრო ადგილებში მომუშავე პერსონალს მართებს დიდი დაკვირვება თავის მოქმედებაში, ის უნდა იყოს უაღრესად მტკიცე ნების ყოფის, ენერჯული და მასთან საკმაოდ უნდა ერკვეოდეს ჩვენი სისხ. სამარ. პოლიტიკის პრინციპებში.

ჩვენ აქ მხედველობაში გვყავს საპატიმრო თუ გამსახლის საშუალო და უფროსი ზედამხედველები, რადგან თითოეული მათგანის მიზანშეწონილი და სამართლიანი მოქმედება გავლენას ახდენს პატიმრებზე და დადებით შედეგს გვაძლევს პატიმართა გასწორების საქმეში.

მიუხედავად ამ დიდი მნიშვნელობისა დღემდე ამ მუშაკების მზადებაზე ან გადამზადებაზე არავის უფიქრია. არ შეიძლება გამართლებული იქნას ის აზრი, ვითომდა საპატიმრო ადგილებში მომუშავე უფროს-უმცროს ზედამხედველთა როლი უმნიშვნელო იყოს პატიმართა გასწორების საქმეში და გარდა პატიმართა მეთვალყურეობისა თითქოს მათ არაფრის გაკეთება შეეძლოთ.

ყველასათვის აშკარაა, რომ თითოეული ზედამხედველის უტაქტო მოქმედება პატიმარს აღიზიანებს და მათში სიძულვილს ღძრავს ადმინისტრაციის და ხელისუფლების მიმართ.

ამისათვის დროულად და საჭიროდ უნდა იქნას ცნობილი საპატიმროს ზედამხედველთა ყოველწლიური მოკლე ვადიანი კურსების მოწყობა, რათა შეეძლოს ისეთი კადრი მუშაკებისა, რომლებიც ჯეროვანად ერკვევიან თავიანთ სამსახურებრივი უფლება—მოვალეობაში და არ ექნება ადგილი ზედანხედველთა ისეთ ცვალებადობას, რასაც დღემდე აქვს ადგილი. სათანადოთ მომზადებულ ზედამხედველებს, შეეძლებათ გარდა თავიანთი მოვალეობის უნაკლოთ შესრულებისა, საგრძნობი დახმარება აღმოუჩინონ მომკლევ თუ საგამომძიებლო ორგანოებს. ამისათვის საპატიმროში არსებობს სხვადასხვა საშუალებები, რომელთა გამოყენება სათანადოთ შეიძლება, მხოლოდ საჭიროა საგამომძიებლო მომკლევ ორგანოებმა მეტი კონტაქტიური კავშირი იქონიონ საპატიმროს ადმინისტრაციასთან ვინემ ეს დღეს არის.

**პირველი მაისი, საერთაშორისო პროლეტარი-
ატის ინტერნაციონალური სოლიდარობის,
ბრძოლის და გამარჯვების საზეიმო დღეა.**

**მსოფლიო მუშათა კლასის ერთსულოვანი დე-
მონსტრაცია კაპიტალისტურ სამყაროს წინა-
აღმდეგ, ახალ გამარჯვების საწინდარია სოცია-
ლიზმის მშენებლობის საქმეში**

იურიდიული დახმარება

კითხვა:

სასამართლომ დამაკისრა ჩავაბარო კრედიტორს ორი ათასი ცალი აგური. მე აგური შევიძინე კრედიტორის საცხოვრებელი ადგილის რაიონში 12—15 ვერსის მანძილზე, მას კი არ სურს აგური მიიღოს იქ და წინადადებას მაძლევს ჩავაბარო მის ოჯახში.

შემიძლია თუ არა ჩავაბარო კრედიტორს აგური იმ სააღმასრულებლო უბანში, სადაც თვით ცხოვრობს. მიი უმეტეს, რომ მე მას აგური ჩემს ოჯახში შევაძლიე და მან არ მიიღო.

გლეხი ლავრენტი კვარაცხელია.

პასუხი:

თქვენ შეგიძლიათ აგურის მაგიერ მისი ღირებულება აუნაზღაუროთ გადამხდევინებელს. მაგრამ თუ აგურის ჩაბარება თქვენ სურვილსა და ინტერესს შეადგენს, და თქვენ გინდათ აგურის ჩაბარებით დააკმაყოფილოთ გადახდევინებელის პრეტენზია, მაშინ ვალდებული ხართ იმას ჩააბაროთ სახლში.

კითხვა:

მხარეთა შორის დადებულ საკომისიო ხელშეკრულებით ყოველივე დავა, როგორც კი წარმოიშევა ამ ხელშეკრულებიდან, უნდა გაიჩეს არა იმ სასამართლოში, რომლის რაიონში მოპასუხის (კოლექტივის) პასუხისმგებელი ან ადგილობრივი ორგანო იმყოფება, არამედ სხვა ალაგას. ამავე ხელშეკრულებით შესრულების ადგილად მიჩნეული კომისიონერის სამყოფი ადგილას, სადაც კომიტენტის მიერ გადმოგზავნილ საქონლის რეალიზაცია უნდა მოხდეს.

ხელშეკრულების დადების დღიდან რამდენიმე თვის შემდეგ კომისიონერი ღებულობს კომიტენტისაგან განცხადებას, რომელთაც უკანასკნელი მოითხოვს საქონლის დაბრუნებას. ამ განცხადებაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ კომისიონერისგან მიღებულ საგარანტიო თამასუქებს იგი დაუბრუნებს კუთვნილებისამებრ (კომიტენტს) დაუყონებლივ, როგორც კი საქონელი იქნება მიღებული.—

კომიტენტს საქონელი დაუბრუნდა, კომისიონერისათვის დასაბრუნებელი საგარანტიო თამასუქები კი იქნა დახურდავებული ბანკში კომიტენტის მიერ. ასეთი ურთიერთობის ნიადაგზე წარმოსდგა კომისიონერის სარჩელი. ამიტომ ისმება საკითხი, რომელ სასამართლოში შეიძლება სარჩელის აღძრა, — იმ სასამართლოში, რომელიც მხარეთა მიერ განსაზღვრულია როგორც სასამართლო რომე-

ლიც თვითნებულ მხარეს შეუძლია დავა აღძვრას საკომისიო შელშეკრულების ნიადაგზე, თუ იმ სასამართლოში რომლის რაიონში მოპასუხის (კოლექტივის), პასუხისმგებელი ან ადგილობრივი ორგანო იმყოფება ან და იმ სასამართლოში რომლის რაიონს ეკუთვნის ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულების ადგილი.

იუსუფ ცივაძე.

პასუხი.

არ შეიძლება შეთანხმებით შეცვლა სამოქ. საპრ. კოდ. 28 მუხლით დაწესებულ ქვემდებარეობისა. მაგრამ აქედან სრულებით არ გამომდინარეობს, თითქოს არ შეიძლებოდეს სხვა ადგილას სარჩელის აღძვრა კოლექტივის წინააღმდეგ მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებაში, რომლის შესრულებას ეხება აღძრული დავა, შეიძლება განსაზღვრული იქნეს ხელშეკრულების შესრულების ადგილი; ამ შემთხვევაში სარჩელი შეიძლება წარდგენილი იქნეს იმ სასამართლოში რომლის რაიონი განსაზღვრულია ხელშეკრულებაში როგორც შესრულების ადგილი.

თუ სარჩელის საგანი იმაში მდგომარეობს, რომ კომისიონერს, მაგ., დაუბრუნდეს თამასუქები ან ეს თამასუქები იქნეს გაბათლებული ან და თამასუქების გაბათილებასთან ერთად აენაზღაუროს ზარალი ასეთი სარჩელი, ეჭვს გარეშეა, უნდა ჩაითვალოს აღძრულად საკომისიო ხელშეკრულების, ნიადაგზე ამის მიხედვით მისი აღძვრა შეიძლება როგორც იმ სასამართლოში, რომლის რაიონში მოპასუხე სცხოვრობს ან, თუ ეს კოლექტივია, იმ ადგილას, სადაც პასუხისმგებელი ან ადგილობრივი ორგანო იმყოფება (სამ. საპრ. კოდ. 28 მუხ.), ისე იმ სასამართლოში, რომლის ადგილი ნაჩვენებია ხელშეკრულებაში შესრულების ადგილად.

კანონმდებლობის მიზოხილვა *)

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ. კანონმდებლობა.

1929 წ. მარტის 16-დან აპრილის 15-მდე.

სახელმწიფო მმართველობა.

ც. ა. კ-ის 1929 წ. მარტის 25 დადგენილებით (გამოტ. თანახმად საკავშირო კონსტიტუციის 67 და 68 მუხ.) დაარსებულია „ამ.-კავკასიის ს. ფ. ს. რ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო“. სათანადო დებულება დამუშავებულ უნდა იქნეს სახკომსაბჭოს მიერ ერთი თვის განმავლობაში. („ზარ. ვოსტ.“ № 68, 1929 წ. მარტის 27.)

გადასახადები და გამოსაღებები.

ს. კ. სო-ს 1929 წ. მარტის 22 დადგენილებით „1929-28 წ. საგანაკვეთო წელს წყლის გამოსაღების შეტანის უკანასკნელი ვადის შესახებ“ აღნიშნულ გამოსაღების შეტანის უკანასკნელ ვადად, 1929 წ. მარტის 1 ნაცვლად. („საბჭ. სამ.“ № 1, „ზარ. ვოსტ.“ № 27, 1928 წ. თებ. 3.) განსაზღვრულია 1929 წ. აპრილის 1. („ზარ. ვოსტ.“ № 65, 1929 წ. მარტის 27.)

ზრომა.

1929 წ. აპრილის 11 თარიღით გამოიცა ს. კ. ს-ის დადგენილება **ზრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ სახელმწიფო საწარმოებში**. („ზარ. ვოსტ.“ 1929 წ. № 84, აპრილის 14.)

*) ტექნიკური მიზეზების გამო საკავშირო კანონმდებლობის და-საქ. ზოგიერთ კანონების მიმოხილვა გადადებულია შემდეგი ნომერი-სათვის.

საქართველოს ს. ს. რ. კანონმდებლობა.

სახელმწიფო გამომცემლობა.

ს. კ. ს-ოს 1929 წ. მარტის 19 დადგენილებით გაუქმებულია საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მომმზადებელი კომისია და აგრეთვე მისი დებულება („კომ“, 1929 წ. № 71, მარ. 30.)

გადასახადები და გამოსაღებები.

ს. კ. ს-ოს 1929 წ. თებერვლის 11 დადგენილება „პირდაპირ გადასახადებისათვის საგადასახადო კამპანიის ჩასატარებლად საჭირო ღონისძიებათა შესახებ“. ეხება იმ ღონისძიებებს, რაც სათანადო ორგანიზება უნდა მიიღონ სარეწავი და საშემოსავლო გადასახადების კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად და საგადასახადო ნარჩენების სრული ლიკვიდაციისათვის. („კომ“, № 62, 1929 წ. მარტის 20).

ს. კ. ს-ოს 1929 წ. თებ. 11 დადგენილებით შენობის გადასახადის უკიდურესი განაკვეთის შესახებ“ აღნიშნული განაკვეთი გადიდებულია შენობის მატერიალური ღირებულების ნახევარ პროცენტამდე. („კომ“, № 64, 1929 წ. მარტის 22).

ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ოს 1929 წ. მარტის 20 დადგენილებით „მოსახლეობის თვითდაბეგრის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ დად-ისათვის თანდართული დებულება დამტკიცებულია და შემოღებულია სამოქმედოდ საქართველოს და მასში შემავალ ერთეულების მიერ ტერიტორიაზე. ამავე დად-ით გაუქმებულია ც. ა. კ. და ს. კ. ს. 1927 წ. იანვრის 12, № 3 დადგ. „ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად მოსახლეობის თვითდაბეგრის შესახებ“, გამოქვ. კან. კრ. 1927 წ. № 1, მუხ. 3. („კომ“, № 68, 1929 წ. მარ. 27).

ბიუჯეტი.

1929 წ. მარტის 13 თარიღით გამოიცა ს. კ. ს-ოს დადგენილება “ 1928-29 საბიუჯეტო წლისათვის ცენტრალური რესპუბლიკანური დაწესებულებებისა და არაგაერთიანებული სახ. კომისარიატების შტატებისა და ფაქმაგირების განსაზღვრის შესახებ“ („კომ“, 1929 წ. № 74, აპრ. 3).

სახელმწიფოსაგან ეკლესიის ჩამოშორება.

ც. ა. კ-ის 1928 წ. ოქტომბრის 8 დადგენილებით „საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტეტის მიერ სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლების ჩამოშორების თაობაზე 1921 წ. აპრილის 15 თარიღით და 21 №-ით გამოცემული დეკრეტის შე-11 მუხ. რედაქციის შეცვლის შესახებ“ აღნიშნული შეტანილია სისხლ. სამ. პასუხისმგებლობა რელიგიურ მოძღვრებათა სწავლებისათვის ყოველგვარ სასწავლებელში, ხოლო მცირე წლოვანთა და არა სრულ წლოვანთათვის ამ მოძღვრებათა სწავლება აკრძალულია აგრეთვე ყველა საზოგადო საკრებულო ადგილსაც, — ეკლესიაში, სინაგოგაში, მეჩეტეში და სხ. („კომ“, 1929 წ. № 81, აპრ. 11).

კონტროლი

ს. კ. ს-ის 1928 წ. დეკ. 28 დადგენილებით დამტკიცებულია „**დებულება სახელმწიფო საფინანსო კონტროლის მიერ საუბო სარევიზიო კომისიებისათვის ხელმძღვანელობის გაწევისა და მათთან საქმიანი კავშირის შესახებ**“ და ფინსახკომის სახელმწიფო ფინკონტროლის სამმართველოსთან დაარსებულია ინსტრუქტორთა აპარატი („კომ“. 1929 წ. № 81, აპრ. 11).

სისხლის სამართალი.

ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ის 1928 წ. დეკ. 18 № 103 დადგენილებით „**სისხლის სამართლის კოდექსის 115 და 118 მუხ. რედაქციის შეცვლის შესახებ**“ 115 მუხ. მეორე ნაწილის „ხელისუფლების გადამტება“ სანქციას-თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ სამი წლისა—დაემატა სასტიკი იზოლიაცია იგივე სასტიკი იზოლიაცია დაემატა აგრეთვე 118 მუხ. მეორე ნაწილის (ხელისუფლების ბოროტად გამოყენება-უგულვეტელყოფა) სანქციასაც—თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ხუთი წლისა. („კომ“. 1929 წ. № 69, მარტ. 28).

სასამართლო წყობილება.

ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ის 1929 წ. თებ. 9 დადგენილებით „**სასამართლოს წყობილების დებულების მე-16 თავისა და სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიების გაუქმების შესახებ**“ აღნიშნულ გაუქმებასთან დაკავშირებით ყველა სადისციპლინო მნიშვნელოვანი (სადისციპლინო კოლეგიის აზრით) საქმე უნდა გადაეცეს სათანადო სასამართლო ორგანოს, ხოლო უმნიშვნელო—სათანადო სას-ის თავმჯდომარეს სადისციპლინო გადასახდელის დასადებად ხელქვეითების წესისამებრ. („კომ“. 1929 წ. № 69, მარტ. 28).

ნოტარიატი.

ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ის 1929 წ. იანვ. 23 დადგენილებით „**საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 მუხ. შევსების შესახებ**“ აღნიშნულ მუხლის 1 პუნქტს დაემატა ლიტერ. „რ“—კონტრაქტაციის ხელშეკრულების გამო აღსრულების წარწერის შესახებ. („კომ“. 1929 წ. № 69, მარტ. 28).

სამოქალაქო სამართალი.

ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ის 1929 წ. იანვ. 30 დადგენილებით „**სამოქალაქო სამ. კოდ. 172 მუხლის დანართის—(მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოხასხლების შესახებ მათ მიერ დაჭერილ სადგომებიდან)—ზოგიერთი მუხლის შევსების და შეცვლის შესახებ**“ აღნ. დანართის 5 მუხ. (მოქალაქეთა კატეგორიები, რომელთაც გამოხასხლების დროს უნდა მიეცეს ბინა და სატრანსპორტო საშუალებანი) „ვ“ პუნ. აღნიშნ. კატეგორიას მიემატა „ძველ ბოლშევიკების საზ-ის წევრები“, ხოლო „ზ“ პუნ.—„დადგენილი წესით რეგისტრაციაში გატარებული მეცნიერი—მომუშავეები“. გარდა ამისა დაემატა მე-3 შენიშვნა სამხედრო უწყების სახლებიდან გამოსახლების წესის შესახებ. („კომუნ.“ № 62, 1929 წ. მარტის 20).

სახალხო განათლება.

ს. კ. ს-ის 1929 წ. იანვრის 15 დადგენილებით გაუქმებულია სახკომსაბჭოს 1927 წ. სექტ. 10 დადგ. „**სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოო მიერ უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეობის დანაშნულ სტიპენდიების მათთვის დატოვების შესახებ**“. გამოც. თან. ს. ს. რ. კავშ. ს. კ. ს-ის 1928 წ. ნოემ. 19 დადგ. 2 მუხლისა. („კომ“. № 70, 1929 წ. მარტ. 29).

მკაწვალოზა.

1929 წ. თებ. 11 თარიღით გამოიცა ს. კ. ს-ის დადგ. „**შავი ლითონის ნამტვრე-ულობის შეგროვებისათვის სათანადო ღონისძიებების მიღების შესახებ**“ („კომ“. 1929 წ. № 7), მარტ. 29).

ს. კ. ს-ის 1929 წ. თებ. 11 დადგენილებით „**საქართველოს წიგნის პალატაში წარსადგენ ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოების სავალდებულო ცალთა რაოდენობის გადიდების შესახებ**“ აღნიშ. რაოდენობა 30-დან 35-მდე. განსახკომს დაევალა სამეცნიერო წიგნსაცავთა მტკიცე ნუსხის შედგენა. („კომ“. 1929 წ. № 82, აპრ. 12).

მიწის კანონმდებლობა.

ც. ა. კ-სა და ს. კ. ს-ის დადგენილებით „**მიწის კოდექსის შეცვლისა და დამატების შესახებ**“ 1) შეცვლილია აღნ. კოდექსას 19, 67 მუხ. 73 მუხ. შენიშვნა, 106, 117, 126 და 145 მუხ. 2) კოდექსს დამატა ახალი: 65 მუხ. შენიშვნა, 114¹, 115¹ და 123¹ მუხ. შენიშვნითურთ, 123² მუხ. შენიშვნითურთ და 147 მუხ. შენიშვნა და 3) კოდ-დან ამოშლილია 127 მუხ. შენიშვნა ც. ა. კ-ის 1929 წ. თებ. 10 № 10 დადგ. რედაქციით — კან. კრ. 1926 წ. № 1 მუხ. 10 („კომ“. 1929 წ. № 69, მარტ. 28).

მიმოსვლა.

1929 წ. თებერვ. 9 თარიღით გამოიცა ს. კ. ს-ის დადგენილება „**გზათა საბალხო კომისარიატის ორგანოების საარქივო მასალების შენახვისა და ლიკვიდაციის წესის შესახებ საქართველოს ს. ს. რ-ში**“ („კომ“. 1929 წ. № 73, აპრ. 2).

ს. კ. ს-ის 1929 წ. მარტის 13 დადგენილებით დამტკიცებულია „**დებულება სვანეთის გზის მშენებელი კომიტეტის შესახებ**“ („კომ“. 1929 წ. № 80, აპრ. 10).

ხარჯთაღრიცხვა.

1928. ნოემ. 30 თარიღით განოცემულია ს. კ. ს-ის დადგენილება „**კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშის პრინციპზე მომქმედ რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო ორგანოთა და შერეულ სააქციო საზოგადოებათა 1928-29 წლის ხარჯთაღრიცხვებით სადამინისტრაციო — საგანმგებლო ხარჯის გამოანგარიშების წესის შესახებ**“ („კომ“. 1929 წ. № 78, აპრილის 7).

სოციალური დახმარება.

1929 წ. აპრილის 2 თარიღით გამოიცა ც. ა. კ-ის დადგენილება „**სრ. საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტთან არსებული უპატრონო ბავშვთა დასხმარე კომისიის სამდღიურის ჩატარების შესახებ**“ („კომ“. 1929 წ. № 78, აპრ. 7).

ჯანმრთელობის დაცვა.

1928 წ. დეკ. 22 თარიღით გამოქვ. ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ის დადგენილება № 105 „**ვენერიულ სენთან საბრძოლველ ღონისძიებათა შესახებ**“, რომელშიაც გათვალისწინებულია, განსაზღვრულ პირობებში, იძულებითი წამლობა („კომ“. 1929 წ. № 81, აპრ. 11).

ც. ა. კ-ის 1928 წ. ნოემბრის 14 დადგენილებით დამტკიცებულია დებულება „**პროსტიტუციასთან საბრძოლველად სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმ. კომიტეტთან არსებული ცენტრალური რესპუბლიკანური საბჭოს შესახებ**“, („კომ“. № 69, 1929 წ. მარტ. 28).

ს. კ. ს-ის 1928 წ. თებ. 11 დადგენილებით გაუქმებულია ს. კ. ს-ის 1928 წ. ივლისის 13 დადგ. „**საბავშვო ბავშვთა შესახებ**“, გამოქვ. კანონ- კრ. 1928 წ. № 10, მუხ. 103. („კომ“. № 69, 1929 წ. მარტის 28).

სოციალური უზრუნველყოფა.

ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ის 1929 წ. იანვრ. 16 დადგენილებით დამტკიცებულია და სამოქმედოდ შემოღებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე „**დებულება პერსონალური პენსიის შესახებ**“, და გაუქმებულია 1) საქართვე. რევკომის 1921 წ. აგვ. 21 დებულება—„**მოამბე 1921 წ. № 16 - 2) ს. კ. ს-ის 1923 წ. აგვისტ. 25 № 105 დადგ.—კან. კრ. 1923 წ. № 2 და 3) ც. ა. კ-ის 1925 წ. აპრ. 19 დადგ.—კან. კრ. 1925 წ. № 2, მუხ. 51—„კომ“ № 69, 1929 წ. მარ. 28).**

საბინაო კანონმდებლობა.

1929 წ. იანვრის 16 თარიღით გამოიცა ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ის დადგენილება „**სახელმწიფო სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა კუთვნილ სახლებში საცხოვრებელი სადგომების გაქირავების საფუძველთა შესახებ**“, („კომ“. 1929 წ. № 69. მარტ. 28).

1929 წ. მარტის 19 თარიღით გამოიცა ს. კ. ს-ის დადგენილება „**მუშათა და გლეხთა წითელი არმიის კადრის მეუფროსეთა შედგენილობის პირათვის თავმოყრის დროს ბინის ქირის 50 % შეღავათის დაწესების შესახებ**“ („კომ“. 1929 წ. № 71, მარტ. 30).

გ. ქ.

სოციალური ნაწილი

შინაპარსი: დადგენილება იუსტიციისა და ფინანსთა სახ. კომისარიატების. იუსტსახკომის ცირკულიარები: №№ 11, 12, 13, 14, 15, 16 და 208/06. შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის ცირკულიარი № 01110.

დადგენილება.

იუსტიციის და ფინანსთა სახალხო კომისარიატებისა სანოტარო სასყიდლისაგან განთავისუფლებული დაწესებულებების ნუსხის შევსების შესახებ.

თანახმად სახელმწიფო ნოტარიატის დებულების (კან. კრ. 1928 წ. № 16, მუხ. 157) 104 მუხლისა საქართველოს ს. ს. რ. იუსტიციის და ფინანსთა სახალხო კომისარიატები ადგენენ:

1928 წ. აპრილის 8-ს გამოცემული „სანოტარო სასყიდლისაგან განთავისუფლებული დაწესებულებების, პირების და დოკუმენტების ნუსხის“ (კან. კრ. 1928 წ. მეორე განყოფ. № 3 მუხ. 14) მე-2 მუხლს დაემატოს 12^ა პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

12^ა. ისეთი გარიგება, რასაც მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სადგომების ასაშენებლად, დასამთავრებლად, გადასაკეთებლად, აღსადგენად, ამ სადგომებისათვის მისაშენებლად, ზემოდან დასაშენებლად და კაპიტალური რემონტის გასაკეთებლად დასდებენ:

- ა) საბინაო-საიჯარო და მუშათა საბინაო-სააღმშენებლო კოოპერატიული ამხანაგობა,
- ბ) საბინაო კოოპერაციის ყველა საფეხურის კავშირი,
- გ) სახელმწიფო დაწესებულება და საწარმო,
- დ) შერეული სააქციო საზოგადოება და ისეთი სააქციო საზოგადოება სადაც კოოპერატიული კაპიტალი სჭარბობს.

იუსტიციის სახალხო კომისარი შ. მათიკაშვილი.

ფინანსთა სახალხო კომისარის მაგ. მესხი.

1929 წ. 2 აპრილი.

ციკულიარი № 11.

ყველა სახალხო მოსამართლეს და სასამართლო აღმასრულებელს.

ასლი: პროკურორებს, უზენაეს სასამართლოს და აფხაზეთის, აჭარის-ტანის და სამხრეთ ოსეთის იუსტსახკომებს.

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპ. ამხანაგობათა მიერ გაცემულ სესხის თავის დროზე დაუგვიანებლად შესაკრებად, იუსტიციის სახალხო კომისარიატმა 1928 წ. 31 იანვრის 1963 № ცირკულიარულ განკარგულებით, სახალხო მოსამართლეთა გარდა, დაავალა სასამართლო აღმასრულებლებს: ჩააბარონ მოვალეებს უწყებები სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო კოოპერატიულ ამხანაგობათა მიერ გაცემულ ვადაგადაცილებულ სესხის თაობაზე არა უგვიანეს ორი დღისა სასამართლო ბრძანების მიღების დღიდან, ამა წლის 14 თებერვლის 4 № ცირკულიარით კი („საბჭოთა სამართალი“ 4 №, გვ. 42) სასამართლო აღმასრულებლებს დევადათ ამ საქმეების დაუყოვნებლივ წარმოება და აღსრულება. ამ სესხთა უფრო წარმატებით შესაკრებად ზოგიერთ სას. სამ. საკრედიტო ამხანაგობებს მათ ხარჯზე დაენიშნათ განსაკუთრებული სასამართლო აღმასრულებლები. მიუხედავად ასეთი განსაკუთრებული ყურადღებისა სას. სამ. საკრედიტო ამხანაგობათა საქმეებისადმი, კომისარიატში მიღებულ ცნობებით, ახლად დანიშნულ სასამართლო აღმასრულებლებს სახალხო მოსამართლენი მეტად ტვირთავენ სხვა არა საკრედიტო ამხანაგობათა საქმეებით, რაც მათ ძირითად მოვალეობაში არ შედის და რაც სასამართლო აღმასრულებლებს ართმევს შესამჩნევ დროს, აფერხებს სესხის თანხათა შკრებას და აზრს უკარავს საკრედიტო საქმეებისათვის განსაკუთრებულ სასამართლო აღმასრულებელთა დანიშვნას.

გაცნობებთ რა ამას, იუსტიციის სახალხო კომისარიატი წინადადებს გაძღვეთ არავითარ შემთხვევაში საკრედიტო საქმეთა სასამართლო აღმასრულებლებს არ გადასცეთ არა საკრედიტო საქმეები შესასრულებლად.

იუსტიციის სახალხო კომისარი შ. მათიკაშვილი.

საორგანიზაციო სამმართველოს უფროსი ს. ქავთარაძე.

31 მარტი 1929 წ.

ციკულიარი № 12.

ყველა უზნის სახალხო სასამართლოებს.

ასლი: უზენაეს სასამართლოს და აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის იუსტსახკომებს.

თანხმად არსებულ წესებისა, რაიც გათვალისწინებულია ს. ს. რ. კ. შრომის კომისარიატთან არსებულ საკეშირო საბჭოს სოც. დაზღვევის დადგენილებაში № 396—1928 წლის 4 ივლისის თარიღით (იხ. ს. ს. რ. კ. შრომის კომისარიატის მაუწყებელი 1928 წლის 24 ივლისის თარიღით № 28—29, თავი მე-111, გვ. 434 და ა.-კ. შრომის კომისარიატის დადგენილება № 117 1928 წლის 13 აგვისტოს თარიღით, „შრომის კანონმდებლობის მოამბე“ № 16, 1928 წლის 31 აგვისტოს თარიღით გვ. 24), სალაროებთან დაარსებული სასტაყო კომისიები, რომელნიც იხილავენ ინვალიდების შრომის სტაჟის გამოკვლევის-დადასტურების საკითხებს.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ჯერ კიდევ 1925 წელს 10 აპრილის თარიღით გამოქვეყნებული იყო დადგენილება ს. ს. რ. შრომის კომისარიატისა და იუსტიციის სახ. კომისარიატისა და შრომის ინვალიდთა შრომის სტაჟის გამორკვევის წესის შესახებ (იხ. უტრნალი „მოამბე“ № 9—10 1925 წლის მაისის თვის თარიღით დადგენილება, ი. ს. კ. № 21). აღნიშნულ დადგენილების 1-ლი მუხლით სახალხო მოსამართლეებს ევალებათ რათა სახალხო სასამართლოების გამგებლობიდან გამოეყოთ და გადაეცეთ რესპ. სოც. დაზღვევის სამმართველოში არა უგვიანეს 1925 წ. აპრილის 30 სა ყველა საქმეები შრომის ინვალიდთა შრომის სტაჟის გამორკვევის შესახებ, ხოლო ამავ დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად სოც. დაზღ. ორგანოებს დაევალათ აღნიშნულ რიცხვიდან შრომის ინვალიდების შრომის სტაჟის დამტკიცების საკითხების განხილვა და სათანადო დადგენილების გამოტანა.

როგორც სჩანს, სრ. საქ. სოცდაზღვევის კომიტეტის ა. წ. 15 მარტის თარიღით № 4460 მომართვიდან, სახალხო სასამართლოები მიუხედავად ზემოაღნიშნულ წესებისა და კანონებისა მაინც განაგრძობენ შრომის ინვალიდების შრომის სტაჟის გამოკვლევა-დადასტურებას.

აღნიშნულის გამო გაცნობებთ, რომ სახ. სასამართლოების კომპეტენციაში არ შედის ინვალიდების შრომის სტაჟის გამოკვლევა-დადასტურება, რისთვისაც წინადადება გეძლევათ ამიერიდან შესწავილოთ აღნიშნულ საკითხის შესახებ განცხადებების მიღება, ხოლო უკვე წარმოებაში არსებული დაუმთავრებელი საქმეები ინვალიდების შრომის სტაჟის გამოკვლევა-დადასტურების შესახებ, დაუყოვნებლივ გადაუზავენთ განსახილველად დამზღვევ სალორობთან არსებულ სასტაჟო კომისიებს.

შესრულება ამა ცირკულიარული განკარგულებისა გევალებათ აცნობით ი. ს. კ. საორგანიზაციო სამმართველოს.

იუსტიციის სახ. კომისარი—შ. მათიკაშვილი.

საორგანიზაციო სამმართველოს უფროსი—ს. ქავთარაძე.

ცირკულიარი № 13.

სამაზრო და სახალხო სასამართლოებს და სამაზრო პროკურორებს.

ასლი: ეხენაეს სასამართლოს და აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის სახალხო კომისარიატებს.

ამა ცირკულიარით კვლავ წინადადება ეძლევა სასამართლოებს დაიცვან სისხ. სამ. საპრ. კოდ. 451 მუხლი—პროკურორებისათვის განაჩენების ასლის გაგზავნის შესახებ. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს მიერ გადმოგზავნილი საქმეები, რომლებშიც ბრალდება წაყენებულია სისხ. სამ. კოდ. 58¹⁷, 58²², 58²⁴, 58²⁶, 58²⁷, 108, 109, 111, 114, 115, 118, 122, 123, 124, 125, 127, 134, 135, 137, 142, 143, 180 და 181 მუხლებით, მოისპობა, მოსპობის შესახებ გამოტანილი დადგენილების ასლი უნდა გაეგზავნოს სათანადო პროკურორს.

სამაზრო პროკურორი ვალდებულია ზემოთაღნიშნულ საქმეებზე გამოტანილი განაჩენების ამონაწერი (სარეზოლიუციო ნაწილი) ან დადგენილების ასლი ამ საქმეების მოსპობის შესახებ ცნობათ გაუგზავნოს რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწეს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს საქმეთათვის და ამავ შემთხვევაში ადგილობრივ განყოფილებებს.

იუსტიციის სახალხო კომისარი და რესპ. პროკურორი შ. მათიკაშვილი.

საორგანიზაციო სამმართველოს უფროსი ს. ქავთარაძე.

1929 წ. 5 აპრილი.

სამაზრო და სახალხო სასამართლოებს, ყველა გამომძიებელს, პროკურორს, ჯანმრთელობის განყოფილებას.

ასლები: უზენაეს სასამართლოს, აფხაზეთის, აჯარისტანის და სამხრეთ-ოსეთის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატებს, და იუსტსახკომებს კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის სამხედრო სასანიტარო სამმართველოს.

როგორც სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოების მასალებიდან ირკვევა, ხშირად ექიმი ექსპერტი სწორად არ უდგება იმის შეფასებას, თუ კანონის დამრღვევი ნევროტიკი ან ფსიქოპატი, მისი მდგომარეობის მიხედვით, რამდენად პასუხისმგებელია თავისი მოქმედებისათვის.

ხშირია, მაგალითად შემთხვევები, როდესაც ექსპერტი, გამოარკვევს რა კანონის დამრღვევის დავადებას ნევრასტენიით, იძლევა დასკვნას, რომ აღნიშნულ სუბიექტს ვერ მოეთხოვება პასუხი თავისი მოქმედებისათვის, და სასამართლოც ასეთ შემთხვევაში იძულებული ხდება ან მოსპოს საქმე ან და გაამართლოს ბრალდებული.

ექსპერტების ასეთი მიდგომა აღნიშნულ საკითხისადმი, სახელდობრ—შეუძლიან თუ არა ნევროტიკს ან ფსიქოპატს შეიგნოს თავისი მოქმედება და განაგოს იგი, არავითარ შემთხვევაში სწორად არ ჩაითვლება.

თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისით ნევროტიკი და ფსიქოპატი პასუხისმგებლად უნდა ჩაითვალოს თავისი საქციელისათვის, გარდა, რასაკვილველია, ისეთი შემთხვევისა, როდესაც იგი ჩაიდენს ამ მოქმედებას დროებითი ფსიქიური მოშლილობის დროს (პათოლოგიური აფექტი, ისტერიული სომნამბულიზმი, ცნობიერების ეპილეპტიური მოშლა და, საზოგადოდ, ყველა სახის ფსიქიური ავტომატიზმი).

